საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 4 იანვარი, 2014 წელი.

№1 (7382)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

მიგდიოთ მაცხოვარს!

პარგა ხანია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ქართველ ხალხს ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებად მიაჩნია.

ერიცა და ბერიც ერთმნიშვნელოვნად აღიარებს, რომ პატრიარქი ჩვენი დროის ყველაზე დიდი ქართველი მოღვაწეა.

ილია მეორეს (ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილს) შესანატრი ავტორიტეტი აქვს მართლმადიდებლურ სამყაროში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ეკლესიის აღიარება, ქართული სულიერების ხსნაა.

არადა, საყოველთაო გლობალიზაციის, გაუკუღმართებული ზნეობის ეპოქაში რა ძალა და ენერგია სჭირდება ჩვენი სულიერების ხსნა-გადარჩენას! უფალმა ქართველი ერის რწმენის განმტკიცების ფუნქცია აღსაყდრებისთანავე დააკისრა ილია მეორეს და შეაძლებინა კიდეც ეს.

პატრიარქობის ხანგრძლივი (35 წელიწადზე მეტი!) დროის განმავლობაში ქართველი ერი ილია მეორემ უფლისკენ შემოაბრუნა და მოწიწებით ქუდი მოახდევინა. დღეს ეკლესიაში იმდენი ახალგაზრდა დადის, გული გაგინათდება კაცს – რწმენით აღსავსე ლოცვა და შრომა, შრომა და ლოცვა ხომ ერის გადარჩენის უმთავრესი პირობაა.

ილია მეორის ეპოქაში იმდენი ეკლესია-მონასტერი აშენდა საქართველოში, რამდენიც საუკუნეების განმავლობაში არ აშენებულა.

სამების ტაძარი მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მემკვიდრეობითობის, ტრადიციების, ქართული ცნობიერების, ქართული მართლმადიდებლობის, ქართული კულტურის უკვდავების სიმბოლოდ იქცა.

დღეს ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ქართველი ერი მახათას მთაზე საოცარი ერთსულოვნებით აშენებს ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარსა და სამონასტრო კომპლექსს, რომელიც, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, ჩვენი ახალგაზრდობის სულის წვრთნის ცენტრი იქნება.

...ბოლო წლების განმავლობაში, ქართულ ეკლესიაზე ნაციონალების ტოტალური შეტევის უუამო უამს, ილია მეორე იყო ის ბრძენი მოძღვარი, რომლის ეპისტოლენი და ქადაგებანი ერს სწორ გზაზე აყენებდა და დასავლური ლიბერალური „ცივილიზაციის“ შემოტევისაგან იცავდა.

ილია მეორე ზრუნავდა და ზრუნავს ქართული გენის გადარჩენისთვის. პატრიარქს დღეს ოცი ათასამდე ნათლული ჰყავს. უბრალო ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პატარების 40 000 ახალგაზრდა მშობელი ღვთის და პატრიარქის თაყვანისმცემელია.

სიკეთით, ზომიერებით, ცხოვრებისეული სიბრძნით გამორჩეული პატრიარქი წერს და აზროვნებს ნათლად, ყველასთვის გასაგებად, მრევლს დღენიადაგ პრაქტიკული, მიწიერი რჩევებით ასაზრდოებს.

ილია მეორე ქმნის ულამაზეს საგალობლებს, წერს წმინდანთა პორტრეტებს, პრინციპულობით და მიტევების ქვეტექსტებით აღსავსე პუბლიცისტურ წერილებს, სახელმძღვანელო ეპისტოლეებზე უკვე ვთქვით.

„ბედნიერნი არიან“ ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელთან დაპირისპირებული შიდა მტრები – ჩვენი დროის იუდა ისკარიოტელები, რომლებიც ასეთი მიმტევებელი პატრიარქის ჩრდილის ქვეშ მაინც ნებივრად არიან...

დღეს პატრიარქის დაბადების დღეა. როგორც გამოჩენილი პოეტი რეზო ამაშუკელი ბრძანებს – „ვინ ცრემლს აგროვებს, ვინ მარგალიტს და ვინ ბრილიანტს!.. გათენდება და მადლი მაინც გადმოვა ციდან! ვდიოთ მაცხოვარს, რუდუნებით, და ორ ილიას! – ერთს ხატზე წერილს, მეორეს კი – ჩვენს ცოცხალ წმინდანს!“

უფალო, შენ ადღეგრძელე ქართველ ერზე მლოცველი ჩვენი ცოცხალი წმინდანი!..

სპარტაკ ძოგულია

რანი ვიყავით რანი ვიქნებით?

2013 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგები და 2014 წლის პერსპექტივები 3

წლეულს ხელისუფლებამ ქვეყნის გამთლიანების რეალური სტრატეგია უნდა წარმოადგინოს

9

ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის ქალიშვილი, პროფესორი ცვია ვალდენი:

მშვიდობასა და აყვავებას ვუსურვებ საქართველოს

5

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ვფიქრობ, რომ მომავალი ნათელია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საახალწლო მილოცვა

„ყველას მოგესალმებით. ღვთის წყალობით მოგვიახლოვდა ახალი წელი. ყოველ ახალ წელს დიდი იმედებით ვხვდებით. დღესაც იმედით ვუყურებთ ჩვენს მომავალს. უპირველეს ყოვლისა, ყოველმა ჩვენგანმა უნდა შეიცნოს თავი თვისი. ჯერ ძველი რომაელები ამბობდნენ „ნოსცეტე იფსუმ“ — „შეიცანი თავი შენი“. ყველაზე დიდი საიდუმლოება ჩვენშია. ჩვენში დავინახავთ ჩვენ ღმერთს, სიკეთეს, ბოროტებას. ადამიანმა ყველაფეარი უნდა გააკეთოს, რომ განიწმინდოს თავისი გული და ადამიანის გული უნდა გახდეს ტაძარი სულისა წმინდისა.

ჩვენ გამოვიარეთ რთული გზა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მომავალი ნათელია, საიმედოა. საქართველომ უნდა აირჩიოს ოქროს შუალედი და მე ვიტყოდი, მთელმა კავკასიამ უნდა აირჩიოს ოქროს შუალედი, ამიერკავკასია კი არ უნდა იყოს წინააღმდეგობის და დაპირისპირების ასპარეზი, არამედ თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ასპარეზი უნდა გახდეს. მე დღეს გულითადად ვულოცავ ახალ წელს მთელს საქართველოს. ვულოცავ ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, ბერძნებს, რუსებს და ყველას, ვინც ცხოვრობს საქართველოში. ჩვენ იმედით ვხედავთ, ვუყურებთ მომავალს და ეს იმედი დამყარებულია ჩვენს რწმენაზე. მართლმადიდებელი სარწმუნოება, სიყვარული და სასოება უნდა სუფევდეს ადამიანის გულში.

დღეს მე განსაკუთრებული სიყვარულით ვულოცავ „უძლურებასა შინა მყოფთა“ ავადმყოფებს, საავადმყოფოში, თუ სახლში მყოფთა. მე ვულოცავ პატიმრებს, გაჭირვებულთ და გისურვებთ, რომ თქვენი გაჭირვება, თქვენი მწუხარება სიხარულით შეიცვალოს. ადამიანი რომ იყოს ბედნიერი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მადლი ღვთისა, წყალობა და მადლი წინაპრებისა და კეთილი საქმეები თვითონ ადამიანისა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების დალოცვას. მშობლებმა უნდა დალოცოთ თქვენი შვილები და ეს უნდა ხდებოდეს ყოველდღე. შვილი უნდა ღებულობდეს ლოცვა-კურთხევას თავისი დედისაგან და მამისაგან და უნდა ემთხვიოთ მშობლებს ხელზე. აი, ამ მთხვევის დროს ღვთის ლოცვა-კურთხევა გადმოვა თქვენზე. კურთხევა უფლისა თქვენს ზედა, მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა. ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შევქმნათ ახალი ქართული, თანამედროვე, ევროპული სახელმწიფო!

საქართველოს პრეზიდენტის საახალწლო მილოცვა

ძვირფასო მეგობრებო!

სულ მალე ჩვენს სამშობლოში ახალი წელი შემოაბიჯებს.

მინდა, გულითადად მოგილოცოთ ეს დღესასწაული.

ხაზგასმით მინდა, მივულოცო იმ ადამიანებს, ვისაც ახლა განსაკუთრებით უჭირს; მომავალი წელი მათთვის დახმარების წელი უნდა იყოს.

მინდა, მივულოცო იმ ხალხს, ვინც დღეს საქართველოში არ იმყოფება. მომავალი წელი მათი სამშობლოში დაბრუნების წელი უნდა იყოს.

მსურს, განსაკუთრებით მივულოცო ჩვენს ჯარისკაცებს. მათი თავდაუზოგავი და გმირული შრომის შედეგად ჩვენ დღეს მშვიდად გვძინავს.

მინდა, მივულოცო ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს. ჩვენ უნდა შევძლოთ წარსულის ტკივილის გადალახვა და ახალი ხედვით ახალი საქართველოს აშენება.

ჩემო მეგობრებო,

გასული წელი უმნიშვნელოვანესი იყო ქართული დემოკრატიისთვის.

გასულ წელს თავისუფალი, დემოკრატიული პროცესის შედეგად, ჩვენ შევძელით დემოკრატიის კონსოლიდაცია, პოსტსაბჭოთა ეპოქის დამთავრება და თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის დაწყება. მაგრამ თანამედროვე ევროპული საქართველოს მშენებლობა უნდა დაეფუძნოს ქართულ ღირებულებებს და ქართულ ტრადიციებს.

მოსაფიქრებელი ბევრი არაფერი გვაქვს - უბრალოდ უნდა მივუბრუნდეთ საკუთარ თავს.

ქართველი თავისუფლებაზეა ორიენტირებული.

ქართული კულტურა მრავალფეროვნებისა და შემწყნარებლობის კულტურაა.

ქართველი კაცი ინდივიდუალისტია, მაგრამ, ამავე დროს, გვაერთიანებს ლოზუნგი „ძალა ერთობაშია“.

სწორედ ამ ღირებულებებზე დაყრდნობით, ახალი სულის შთაბერვით უნდა შევქმნათ ახალი ქართული, თანამედროვე, ევროპული სახელმწიფო.

სწორედ ასე, დაუღალავი შრომით, იმ ფასეულობების ერთგულებით, რომლებიც წარსულთან გვაკავშირებს და უხილავ ხიდებს აბამს მომავალთან, უნდა შევქმნათ თანამედროვე ქართული სახელმწიფო - ისეთი, როგორზეც ჩვენი წინაპრები ოცნებობდნენ.

მე ყველას გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და კეთილდღეობას. მოგიწოდებთ, რომ ერთად დავდგეთ ამ ახალი ქვეყნის მშენებლობის პროცესში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს!

მთავრობა ხალხის ხმას ანგარიშს უწევს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის საახალწლო მილოცვა

ჩემო თანამემამულენო, მინდა, ყველას მოგილოცოთ 2014 წლის შემობრძანება, გისურვოთ მშვიდობა, გისურვოთ წარმატებები თითოეულ თქვენგანს, მინდა, ვუსურვო კეთილდღეობა თქვენს ოჯახებს.

გასული წელი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის. ეს წელი სავსე იყო ემოციებით, მოვლენებით. ჩვენ ჩავატარეთ ნამდვილად დემოკრატიული და თავისუფალი პრეზიდენტის არჩევნები და ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით დემოკრატიის გზაზე.

შარშან ქვეყანაში დაიწყო სამართლიანობის დამკვიდრების პროცესი. დასრულდა შიშისა და ტერორის ეპოქა. ათასობით ადამიანი, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში უსამართლოდ და გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდნენ პატიმრობაში, წელს საკუთარ სახლში შეხვდებიან ახალ წელს. ვიცი, რომ კიდევ რჩებიან ადამიანები, რომლებიც სამართლის აღსრულებას ელოდებიან. გარწმუნებთ, ეს პროცესი კანონის სრული დაცვით წარიმართება და მის სამართლიანობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს.

ჩვენს მთავრობას გახსნილი ურთიერთობა აქვს ხალხთან, თქვენ გაქვთ საშუალება, აკონტროლოთ მთავრობა, თქვენგან წამოსულ ხმას ანგარიშს ვუწევთ, ვითვალისწინებთ და ეს ჩვენ უკვე დავამტკიცეთ.

ჩვენმა ხელისუფლებამ არსებითად შეცვალა პრიორიტეტები და პირველი ნაბიჯები გადადგა სოციალურად სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ.

ეკონომიკის განვითარება ჩვენი მთავარი გამოწვევაა. მომავალი წლიდან ქვეყანაში გაიხსნება მრავალი ახალი საწარმო და ამით დაიწყება ეკონომიკის აღმავლობის შეუქცევადი პროცესი; ჩვენ ყველა პირობას შევქმნით ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობისთვის, სამუშაო ადგილების გაჩენისთვის და რაც შეიძლება მეტი ადამიანის დასაქმებისთვის.

მომავალი წლიდან შევქმნით იმის პირობებს, რომ 4-5 წელიწადში არც ერთი გოჯი მიწა არ დარჩეს დაუმუშავებელი. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ისეთი მაღალხარისხიანი პროდუქტი, რომ ექსპორტმა ჩაანაცვლოს იმპორტი. ოპტიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა ბუნებრივი რესურსი, რომლითაც მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

მომავლი წლიდანვე ვიზრუნებთ იმისათვის, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეშე, განათლების გარეშე; დავიწყებთ ამბულატორიების მშენებლობას და ჯანდაცვა კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდება ყველასთვის.

ძვირფასო მეგობრებო, 2014 წელი ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი წელი იქნება ევროპასთან დაახლოების კუთხით. 2014 წლის აგვისტოში საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას გააფორმებს. ეს იქნება სრულიად ახალი შესაძლებლობები ჩვენი ხალხისთვის. ქართული პროდუქციისთვის ეტაპობრივად გაიხსნება ევროკავშირის შიდა ბაზარი. არც ისე შორი პერსპექტივა გახდება საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ქვეყნებში უვიზო რეჟიმი.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რათა ყველა ჩვენს მოქალაქეს ღირსეული ცხოვრების პირობები ჰქონდეს.

საუკეთესო სურვილებით მინდა, მივულოცო ახალი წლის დადგომა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.

ვულოცავ ახალ წელს ჩვენს მასწავლებლებს, ექიმებს, ჯარისკაცებსა და პოლიციელებს, ყველას, ვინც უანგაროდ და თავდაუზოგავად ემსახურება ჩვენს სამშობლოს.

ვულოცავ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, და მჯერა, რომ ჩვენ მოვძებნით საერთო ენას, აღვადგენთ ურთიერთობებს და ჩვენს საერთო მომავალზე ერთად ვიზრუნებთ.

ახალ წელს ვულოცავ საერთაშორისო მისიებში მონაწილე ჩვენს საამაყო ჯარისკაცებს, რომლებიც, სამშობლოსგან მოწყვეტილები, საქართველოს სახელმწიფოს იცავენ.

ვულოცავ დამდეგ ახალ წელს ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულები. სამშობლოში დაბრუნებას და აქ ცხოვრების ღირსეულად გაგრძელებას ვუსურვებ მათ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. კეთილდღეობასა და წარმატებებს გისურვებთ ყველას.

რანი ვიყავით და რანი ვიქნებით?

2013 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგები და 2014 წლის პერსპექტივები

2013 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგებსა და 2013 წლის პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგსა და პოლიტოლოგს რამაზ საყვარელიძეს, პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძესა და ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.

2013 წლის საშინაო პოლიტიკის შეფასება

რამაზ საყვარელიძე – ხელისუფლებას მეტი ენერგიულობისა და საქმიანი თვისებების გამოვლენა მოეთხოვება.

ვახტანგ ძაბირაძე – თუ ხელისუფლებამ რაღაც დოზით არ დააკმაყოფილა სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოლოდინი, პოლიტიკური ფიასკო გარდაუვალია.

ზაზა ფირალიშვილი – პოზიტიური იდეოლოგიის დეფიციტია.

რამაზ საყვარელიძის აზრით, იმის მიუხედავად, რომ 2013 წელი 2012 წლის 1 ოქტომბრის პირმშოა, მას უკვე უკავია თავისი ადგილი ისტორიაში იმ მოვლენებით, რაც 2013 წელს განვითარდა. 2013 წელს, გარდა ხელისუფლების შეცვლისა, ახალმა ხელისუფლებამ გადადგა საკმაოდ არატიპური ნაბიჯები, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პოსტი დატოვა.

რამაზ საყვარელიძეს ხაზგასასმელად მიაჩნია, რომ მთავრობის საქმიანობაში პრემიერის პოსტი დაიკავა ირაკლი ღარიბაშვილმა. ეს იმ თვალსაზრისით არის ხაზგასასმელი, რომ ღარიბაშვილმა ძალიან მცირე დროში მოახერხა, დაებრუნებინა საზოგადოებაში განწყობილებები და მოლოდინები, რომელიც ხალხს 2012 წლის ოქტომბერში ჰქონდა. მოგეხსენებათ, საზოგადოებას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ უპირველესად სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი ჰქონდა.

რამაზ საყვარელიძის აზრით, ვინაიდან ამ ხელისუფლების პრობლემად პასიურობა და უუნარობა ყველაზე ხშირად სახელდება, „ხელისუფლებას მეტი ენერგიულობისა და საქმიანი თვისებების გამოვლენა მოეთხოვება“, – დასძენს ექსპერტი რამაზ საყვარელიძე.

ვახტანგ ძაბირაძე ხაზგასმით აღინიშნავს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უაღრესად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო“. განვლილი ერთწლიანი პერიოდი, პოლიტიკური თვალსაზრისით, უაღრესად რთული და უჩვეულო იყო როგორც ხელისუფლებისათვის, ასევე ჩვენი საზოგადოებისთვის.

„უჩვეულობა“ განაპირობა იმან, რომ არჩევნებში დამარცხებულმა პოლიტიკურმა ძალამ არჩევნების შემდეგ არათუ არ დატოვა პოლიტიკური ასპარეზი, არამედ შეინარჩუნა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება, პრეზიდენტის სახით, ასევე შექმნა საპარლამენტო ფრაქცია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გუბერნატორებს ნიშნავდა პრეზიდენტი, ხოლო ადგილობრივ დონეზე ძალაუფლება კვლავაც ნაციონალების ხელში რჩებოდა, შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა ქვეყანაში ორხელისუფლებიანობას დაუდო სათავე.

„ქართული ოცნება“ იძულებული იყო, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ეთანამშრომლა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ განვლილი ერთწლიანი პერიოდი „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებას უფრო მოახმარა, ვიდრე მის რეალიზებას“ – აღნიშნავს ვახტანგ ძაბირაძე.

მისივე აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებმა, ივანიშვილის გადადგომამ და ვილნიუსის სამიტმა მნიშვნელოვნად შეცვალეს დასავლეთის დამოკიდებულება „ქართული ოცნების“ მიმართ. საქართველოს ლიდერებს ახლა უკვე ელიან ამერიკაში და ბარაკ ობამას ირაკლი ღარიბაშვილთან თანამშრომლობის იმედი აქვს. ამიტომაც გაჩნდა შანსი, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი უფრო ინტენსიური გახდეს. მაგრამ, **„ამჯერად ქართველი საზოგადოება უნდა იყოს გაცილებით ფრთხილი და კრიტიკული ხელისუფლების მიმართ, რათა სამართლიანობის აღდგენის პროცესი მკაცრად მოექცეს კანონიერების ფარგლებში“,** – აღნიშვს ვახტანგ ძაბირაძე.

ზაზა ფირალიშვილი – „ახალი ხელისუფლების პირობებში წნეხისგან ბიზნესის გათავისუფლება ის მოვლენაა, რომელიც უახლოეს წლებში აუცილებლად იქონიებს დადებით გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე. თუმცა, ისიც არის, რომ ეს გათავისუფლება ჯერ არ ასახულა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე და ახალი ხელისუფლების ოპონენტების აზრით, პირიქით, უკუსვლა გვაქვს.“

მისივე თქმით, იგივე ითქმის საზოგადოებაში შიშის ატმოსფეროს მოხსნაზე. ერთიც და მეორეც უთუოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებია ჩვენს ცხოვრებაში. მეორე მხრივ, ვფიქრობ, ახალმა ხელისუფლებამ ზედმეტად გაამახვილა ყურადღება კოჰაბიტაციის რეჟიმის გამო არსებულ მუხრუჭებზე და ნაკლებად, ან არ შესთავაზა საზოგადოებას ის პოზიტიური ეკონომიკური, პოლიტიკური იდეები თუ მსოფლმხედველობა, რომელთა ირგვლივაც გამოთავისუფლებული საზოგადოებრივი ძალები დაჯგუფდებოდა.

„სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოზიტიური იდეოლოგიის დეფიციტთან გვაქვს საქმე. თუკი რაიმე შეთავაზებები არსებობს, უმწეო საინფორმაციო პოლიტიკის გამო ისინი ჰაერში იფანტება. ხანდახან მგონია, რომ ახალი ხელისუფლება ისევ „ნაციონალებთან“ მიმართებაში განაგრძობენ არსებობას.“ – აცხადებს ზაზა ფირალიშვილი.

რას მიიჩნევდით 2013 წლს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად?

რამაზ საყვარელიძე – 2013 წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენად მივიჩნევდი არა პოლიტიკიდან სააკაშვილის წასვლას, არამედ მარგველაშვილის გაპრეზიდენტებასა და ღარიბაშვილის გაპრემიერებას.

ვახტანგ ძაბირაძე – 2013 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პრეზიდენტის არჩევნები და ვილნიუსის სამიტზე ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება.

ზაზა ფირალიშვილი – 2013 წელს პოლიტიკური დისკურსის არანორმალური ტყვეობიდან ჩვენი გათავისუფლების პირველი სერიოზული ნიშნები გაჩნდა.

რამაზ საყვარელიძის თქმით, 2013 წელს მოვლენათა ისეთი კასკადი იყო, რომ რომელიმეს გამოყოფა ძალიან ძნელია. ვიმეორებ, სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციით იყო განპირობებული და საზოგადოებაც ამას შესაბამისი სიმშვიდით შეხვდა. ემოციებს იწვევდა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა, მაგრამ შემდგომ საზოგადოებაც გაგებით მოეკიდა იმას, რომ მან, სავარაუდოდ, სწორი ნაბიჯი გადადგა. განვლილ პოლიტიკურ სურათში ყველაფერი ისე წავიდა, როგორც უნდა წასულიყო. ამ გეგმის ავტორი ნაწილობრივ კონსტიტუცია და ნაწილობრივ ივანიშვილი გახლდათ.

ვახტანგ ძაბირაძე – პრეზიდენტის არჩევნებმა აჩვენა, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია, ჩავატაროთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და ქართველი საზოგადოება მზადაა დემოკრატიული პროცესის გაღრმავებისა და განვითარებისთვის, რაც ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცოდით, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ეს დაინახეს და შეაფასეს ჩამოსულმა დამკვირვებლებმა და დასავლეთის პოლიტიკურმა წრეებმა. **„ვილნიუსის სამიტზე კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენი ქვეყნისა და ახალი ხელისუფლების დასავლური ორიენტაცია, რაც ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან გარკვეული შიშები „ქართული ოცნების“ საგარეო კურსის მიმართ დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში ნამდვილად არსებობდა.“** – აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

ზაზა ფირალიშვილის შეფასებით, 2013 წელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წელი იყო ჩვენს უახლეს ისტორიაში. **პირველი** – აპოკალიფტურ განწყობებს მოკლებული საპრეზიდენტო არჩევნები, **შემდეგ,** ვილნიუსის სამიტის შედეგები; შაჰდენიზი-2-ზე ხელის მოწერა; ბიძინა ივანიშვილის საკუთარი ნებით წასვლა პოლიტიკიდან, რითაც ჩვენს პოლიტიკური ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი პრეცედენტი გაჩნდა – ვფიქრობ, სრულიად საკმარისი ჩამონათვალია ამის დასტურად. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უახლოესი წლების განმავლობაში საგარეო და საშინაო პოლიტიკურ პროცესებს. **„2013 წელს პოლიტიკური დისკურსის არანორმალური ტყვეობიდან ჩვენი გათავისუფლების პირველი სერიოზული ნიშნები გაჩნდა“,** – აღნიშნავს ზაზა ფირალიშვილი, რომლის აზრითაც, **„თუ ეს პროცესი გაგრძელდა, უზარმაზარი საზოგადოებრივი და ადამიანური ენერგია გამოთავისუფლდება. რიგითი ადამიანი თითქოს დისტანცირდა პოლიტიკისაგან და მხოლოდ ამ სფეროში აღარ ეძიებს ხსნას.“** მისივე თქმით, აქედან უკვე ბევრი აღარ არის დარჩენილი იმ მომენტამდე, როდესაც საკუთარი მმართველების მართვას შევძლებთ. **„მთავარია, დავიჯეროთ ჩვენი თავისა, ჩვენი გონების ძალებისა და გამოვთავისუფლდეთ იმ მითო-პოეტური ემოციებისაგან, რომლებსაც ჩვენში პოლიტიკა აღძრავს და რისი ბოლოც ყოველთვის ჩიხია ხოლმე. პროცესი მიდის და ეს ძალზე კარგია.“**



ფირალიშვილის თქმით, როგორი დასაბუთებული თუ დაუსაბუთებელი პრეტენზიებიც არ უნდა გამოითქმოდეს ბიძინა ივანიშვილთან, მას არ უნდა დაუკარგოთ თავისი დამსახურება. – **„აშკარაა, რომ ივანიშვილმა თავისი მშვიდი და გარეგან ეფექტებს მოკლებული ქცევის წესით პოლიტიკური ნევროზის დაცხრობას შეუწყო ხელი“,** – აღნიშნავს ზაზა ფირალიშვილი.

საპარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები 2014 წელს საშინაო პოლიტიკაში?

რამაზ საყვარელიძე – 2014 წელს ასევე პრობლემური იქნება რუსეთის თემა ოლიმპიადამდე და ოლიმპიადის შემდეგ, ანუ, საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე

ვახტანგ ძაბირაძე – საშინაო თუ საგარეო ფაქტორის გათვალისწინებით, 2014 წელი ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად მძიმე და რთული იქნება

ზაზა ფირალიშვილი – ბოლოდროინდელი მოვლენები ცხადყოფს, რომ ხელისუფლების საკადრო პოლიტიკაც სერიოზულ გადახედვას საჭიროებს

რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ 2014 წელს რამდენიმე თემაში კრიზისის ნიშნები იქნება. ეს არის სოჭის ოლიმპიადა, რომელთა მიმართებაშიც ჩვენი საღი პოზიცია შემუშავდა, მაგრამ ეს ოლიმპიადა ემოციებს გამოიწვევს.

მისივე აზრით, 2014 ასევე პრობლემური თემა იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. „ნაცმოძრობა“ ეცდება, გაიმაგროს ზურგი, რათა შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზე წარმატებას მიაღწიოს. ამიტომ, 2014 წლის ადგილობრივი ორგანოების არჩევნები შემდგომი პარლამენტის არჩევნების ნაწილად უნდა განვიხილოთ. ამიტომ ამ არჩევნებზე პოლიტიკურ პარტიებს შორის თავდაუზოგავ ბრძოლასა და კონკურენციას ვვარაუდობ.

ვახტანგ ძაბირაძე მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ 2014 წელს საპარლამენტო პარტიები ლიდერების, მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის გარეშე ხვდებიან. **„ამიტომ, საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ პარტიები აღიარებულ ლიდერთა გარეშე და როგორი იქნება მათი გავლენა როგორც უშუალოდ თავიანთ პარტიებზე, ისე, ზოგადად, პოლიტიკური პროცესის განვითარებაზე,“** – აცხადებს ვახტაგ ძაბირაძე, რომლის თქმითაც, მართალია, მიხეილ სააკაშვილი წავიდა ხელისუფლებიდან და მაგრამ არა - პოლიტიკიდან. იგი დარწმუნებულია იმაში, რომ **„თუ სააკაშვილს მცირე, თუნდაც თეორიული შანსი მიეცა, ის აუცილებლად იბრძოლებს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.“** მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ სააკაშვილი „ნაციონალებისთვის“ უფრო პრობლემაა, რადგან ის შეეცდება შეინარჩუნოს პარტიის ლიდერობა, როგორც ხელისუფლებაში დაბრუნების ერთადერთი საშუალება, რაც ხელს შეუშლის „ნაციონალებს“ მოახდინონ პარტიის რეალური ე.წ. რებრედინგი და შედარებით გაკეთილშობილებური სახით მიიღონ მონაწილეობა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

„ივანიშვილის წასვლა პოლიტიკიდან უაღრესად დიდი დანაკლისია „ქართულ ოცნებისთვის“. დაპირების მიუხედავად, საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკაში დავბრუნდებიო, ვფიქრობ, ამგვარი ალბათობა ნულის ტოლია“, – აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე. იგი დარწმუნებულია იმაში, რომ ბევრად აჯობებდა, თუ ივანიშვილი ხელისუფლებასა და პოლიტიკაში დარჩენილიყო. მისივე აზრით, **„სამოქალაქო სექტორი ივანიშვილისთვის არის ის პოზიცია, საიდანაც შეძლებს, ნაკლები აჟიოტაჟის ფონზე, თანდათან გაეცალოს აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას,“** – დასძენს ვახტანგ ძაბირაძე

„უაღრესად რთულ და პარადოქსულ სიტუაციაში აღმოვჩნდით - ქვეყანას მართავს პოლიტიკური ძალა, რომლის პოლიტიკური კაპიტალი ნულზე ოდნავ მეტია, პარლამენტში არის პოლიტიკური ოპოზიცია, რომლის კაპიტალი ნულს ქვემოთაა, ხოლო პარლამენტს გარეთ არსებული პოლიტიკური ოპოზიციის ჯამური კაპიტალი ნულის ტოლია“, – აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

მისივე თქმით, და ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც ყველა გათვლით, **„ყველა საშინაო თუ საგარეო ფაქტორის გათვალისწინებით, 2014 წელი ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად მძიმე და რთული იქნება.“**

ზაზა ფირალიშვილის აზრით, „ქართული ოცნება“ მნიშვნელოვანწილად არის „ნაციონალების“ ხელისუფლებიდან ჩამოცილების პოლიტიკური მიზნით შეკრული ძალა. მიზნის მიღწევისა და კოჰაბიტაციის რეჟიმის დასრულების შემდეგ ამ დუღაბს მხოლოდ ის გარემოებაღა თუ უნარჩუნებს, რომ **„ჩვენი საზოგადოება ჯერაც „ნაციონალური“ მმართველობის ხსოვნის ინერციაშია და ამ ინერციას მავან „ნაციონალთა“ უტიფარი განცხადებები აცოცხლებს.“**

მისივე აზრით, საკმარისია, ეს ინერცია მიილიოს და „ქართული ოცნება“ საკუთარი თავისა და საზოგადოების წინაშე მარტო აღმოჩნდება. ეს მომენტი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ აუცილებლად დადგება და ეს იქნება კრიტიკული მომენტი მის არსებობაში. მეორე მხრივ, თავს იჩენს თავად „ქართული ოცნების“ არაერთგვაროვნება.

იხ. 4 გვ.

რანი ვიყავით და რანი ვიქნებით?

2013 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგები და 2014 წლის პერსპექტივები

(მესამე გვერდიდან)

ამას ემატება ისიც, რომ **„თუ ეკონომიკური ზრდა უფრო საგრძნობი არ გახდა, ჩვენი მოქალაქის მთავარ სტრატეგიად კვლავ პასიური მოლოდინი, ემიგრაცია ან პოლიტიკური ცვლილებების იმედი დარჩება.“** — დასძენს ზაზა ფირალიშვილი, რომლის აზრითაც **„ბოლოდროინდელი მოვლენები ცხადყოფს, რომ ხელისუფლების საკადრო პოლიტიკაც სერიოზულ გადახედვას საჭიროებს“.**

ზაზა ფირალიშვილი არ გამორიცხავს იმასაც, რომ **„ეროვნულად წოდებული აზროვნება სრულიად აშკარად შეიძლება გვიმზადებდეს ახალ უღირსებო და ვასალურ დამოკიდებულებას ჩრდილოეთზე. მოკლედ, ხშირად სათითეებით თამაშს ემსგავსება ეს ყველაფერი. ვერასოდეს გაიგებ, სად რა იმალება“.**

იგი დარწმუნებულია, რომ **„2014 წელს პრორუსული ძალების აქტიურობა აუცილებლად გაიზრდება და ვინძლო, უკვე ემზადებიან კიდეც მომავალი 17 მაისისათვის, მით უმეტეს, რომ საბაბს ყოველთვის მიართმევენ ჩვენი ექსტრემისტი ლიბერალები, პოლიტკორექტულობის ყველაზე ოდიოზური ფორმები და ლიბერალიზმი რომ ერთმანეთში ერევათ. ეს ორი პოლარობა თუ არ განიდევნა პერიფერიებზე, ძალზე გაგვიჭირდება 2014 წლის რთული პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანად გადატანა“.**

რა ხდება თანამედროვე მსოფლიოში?

რამაზ საყვარელიძე — თუკი ამერიკული პოლიტიკური მანქანა ევროპის კონტინენტზე შესაბამისი ენერგიით არ ამუშავდა, რუსეთის დომინირება უფრო გაიზრდება.

ვახტანგ ძაბირაძე — თუ რუსეთი კვლავაც გაგრძელებს უკრაინაზე ზეწოლას, ვფიქრობ, მის მიმართ დასავლეთის რეაქცია უფრო მკაცრი და კატეგორიული იქნება.

ზაზა ფირალიშვილი — ვილნიუსის სამიტის შედეგები, შაჰდენიზი 2-ის ხელმოწერა, რომლის მნიშვნელობაც ძალზე დიდია, მომავალში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას.

რამაზ საყვარელიძე საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პროცესებს იმას უკავშირებს, რომ თავად ამერიკაა პასიური საერთაშორისო პოლიტიკის კონტროლში. მისივე თქმით, შესაძლოა, ეს იმას უკავშირდება, რომ თავად ამერიკას გაუჩნდა ბევრი პრობლემები და მისი ყურადღების დიდი ნაწილი შიდა პრობლემებზეა კონცენტრირებული. 2014 წელი ობამასათვის საუკეთესო წელი ნამდვილად არ იყო. ამერიკის თავის თავში გარკვეული ჩაკეტვა აისახა ევროპისა და რუსეთის ურთიერთობებზე. „თუკი ევროპა რუსეთთან დაპირისპირებაში ამერიკის გარეშე დარჩება, ევროპას გაცილებით შეუმცირდება შანსები რუსეთთან თავისი მიზნების მიღწევაში“. — აღნიშნავს ექსპერტი, რომლის თქმითაც, „თუკი ამერიკული პოლიტიკური მანქანა ევროპის კონტინენტზე შესაბამისი ენერგიით არ ამუშავდა, რუსეთის დომინირება უფრო გაიზრდება.“

ვახტანგ ძაბირაძეს აზრით, ცივი ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთმა სტრატეგია შეცვალა და დაპირისპირების ნაცვლად პარტნიორობისა და ჩართულობის სტრატეგიაზე გადავიდა, რასაც ადასტურებს ნატოსა და რუსეთის ურთიერთობები და დიდი შვიდიანის გარდაქმნა დიდ რვიანად. „თუ რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებს ჩართულობისა და პარტნიორობის სტრატეგიის კოტექსტში განვიხილავთ, პუტინის მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე არცთუ ისე შთამბეჭდავი აღმოჩნდება. გამონაკლისს, რა თქმა უნდა, თუ რუსეთი კვლავაც გააგრძელებს უკრაინაზე ზეწოლას, ვფიქრობ, მის მიმართ დასავლეთის რეაქცია უფრო მკაცრი და კატეგორიული იქნება“ — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

ზაზა ფირალიშვილი — „საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით შარშანდელი მოვლენებიდან ორს აღვნიშნავ: ცხადია, პირველ რიგში ესაა ვილნიუსის სამიტის შედეგები. თუ ამას დავუმატებთ შაჰდენიზი 2-ის ხელმოწერას, რომლის მნიშვნელობაც ძალზე დიდია და ვფიქრობ, მომავალში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას“.

ამასთან, ისიც ცხადია, რომ ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტი არ დარჩება გარკვეული შედეგების გარეშე. 2014 წელს კიდევ უფრო გაძლიერდება საშინაო პოლიტიკურ სივრცეზე პრორუსული ძალების აქტიურობა და რომელიმე ძლიერი ცენტრის ირგვლივ მათი მობილიზების მცდელობა. **„ქართული ოცნება“ რომ არ აღმოჩნდა ასეთი ცენტრი, ვფიქრობ, სრულიად ნათელია“** — აღნიშნავს ზაზა ფირალიშვილი. თუმცა კი, როგორც ჩანს, ამის იმედი ჰქონდათ ჩრდილოეთშიც და ზოგიერთებს — ჩვენშიც. **„ცეცხლოვან ანტირუსულ რიტორიკაზე უარის თქმამ ბევრი შეაცდინა. ახლა უკვე ამ ძალებს სხვა გზა არ დარჩენიათ, თუ არა ის, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალებთან“ ფარულ შეთქმულებაში ამხილონ.“** — დასძენს ზაზა ფირალიშვილი.

აშშ-საქართველო

რამაზ საყვარელიძე — ამერიკის მხარდაჭერა, რუსეთთან მიმართებაში მისი პრინციპულობა ჩვენთვის ისევ აქტუალური და აუცილებელია.

ვახტანგ ძაბირაძე — უნდა ვივარაუდოთ, რომ აშშ მაქსიმალურ მხარდაჭერას გაუწევს საქართველოს ხელისუფლებას.

ზაზა ფირალიშვილი — 2014 წელს აშშ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება.

რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ამერიკის პასიურობა ევროპას აყენებს უფრო მძიმე მდგომარეობაში რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ „ვაშინგტონის ამგვარი პოლიტიკა ამერიკას რუსეთთან უფრო კარგი ურთიერთობების საშუალებას აძლევს. იგი იმედს გამოთქვამს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ამერიკის პასიურობა აშშ დროებითი კრიზისების გამოა. თუ პასიურობა ვაშინგტონის სტრატეგიად იქცა, მაშინ მსოფლიოში ძალიან ბევრი რამ შეიცვლება. მოხდება ძალთა გადანაწილებები, ეს კი ჩვენზეც მოახდენს გავლენას. მისივე აზრით, ჩვენც და უკრაინაც და ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რომელთა ახალ მსოფლიოში დამკვიდრება ამერიკის მხარდაჭერით იყო განპირობებული, დღეს ისევ საჭიროებენ ასეთ მხარდაჭერას. **„ამერიკის მხარდაჭერა და რუსეთთან მიმართებაში მისი პრინციპულობა ჩვენთვის ისევ აქტუალური და აუცილებელია.“** — დასძენს რამაზ საყვარელიძე.

ვახტანგ ძაბირაძეს მიაჩნია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები საგრძნობლად გაცივდა, თუმცა, პარტნიორული ურთიერთობები ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რამ გამოიწვია ურთიერთობების გაცივება. თუმცა, **„შესაძლებელია დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებასა და, რაც მთავარია, ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემაში, ქართველ ხალხთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკის ადმინისტრაციას და მის წარმომადგენელს საქართველოში, ამერიკის ელჩს.“** — აღნიშნავს ვახტანგ ძაბირაძე. მისი აზრით, **„ამერიკის ადმინისტრაცია მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს ხელისუფლებასთან, ხოლო თუ უკრაინაში მიმდინარე პროცესებსა და კრემლის მისწრაფებებს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ აშშ მაქსიმალურ მხარდაჭერას გაუწევს საქართველოს ხელისუფლებას მის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში.“** — დასძენს ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე.

ზაზა ფირალიშვილის აზრით, ევროპასთან ინტეგრაციული პროცესების დაჩქარება და შაჰდენიზი 2-ზე ხელის მოწერა იმის ნიშანია, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური როლი ამ ვითარებაში იზრდება. ამიტომაც ველი, რომ **„2014 წელს აშშ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. აშკარაა, რომ დასავლური პოლიტიკა დღეს უკვე აღიარებს „ცივი ომის“ ახალი ფაზის არსებობას, თუმცა, ჯერ-ჯერობით ამის დეკლარირებას არ ახდენს.“** — აღნიშნავს ზაზა ფირალიშვილი.

საქართველო-რუსეთი

რამაზ საყვარელიძე — თუ რუსეთს უკრაინაში ძალადობა გაუვიდა, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენთან ურთიერთობა ძალადობით არჩიოს.

ვახტანგ ძაბირაძე — რუსეთი ცდილობს, საქართველოს თანამედროვეობას უფრო მორგებული, ევრაზიის ეკონომიკური კავშირი შესთავაზოს.

ზაზა ფირალიშვილი — 2014 წელს კიდევ უფრო გაძლიერდება საშინაო პოლიტიკურ სივრცეზე პრორუსული ძალების აქტიურობა.

რამაზ საყვარელიძის აზრით, პრობლემა ისაა, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი იქნება რუსული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. **„სულ ვითვლით იმ ვერსიას, რომ რუსეთმა არ გადმოწიოს საზღვრები და არ წამოიწყოს მორიგი საომარი ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ სწორედ ამისთვის გვინდა მსოფლიოს მხარდაჭერა. ჩვენ მოვლენათა ამ სცენარით განვითარებისთვის ვართ განწყობილი.“** — აღნიშნავს რამაზ საყვარელიძე.

„თუ რუსეთს უკრაინაში ძალადობა გაუვიდა, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენთან ურთიერთობა ძალადობით არჩიოს. მაგრამ, თუ მას ძალადობისთვის პოლიტიკური შესაძლებლობები შეეკვეცა, იგივე დასავლეთის გავლენით, მაშინ გამორიცხული არ არის იმ ტიპის სცენარი, როცა რუსეთი ფიზიკურ მოძალადეთ არ გამოჩნდება, მაგრამ ფსიქოლოგიურ ძალადობას განახორციელებს. ფაქტია, რომ ამგვარი მიდგომა საქართველოს კიდევ უფრო დიდი გამოცდის წინაშე დააყენებს.“ — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

ვახტანგ ძაბირაძის განმარტებით, რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები არასდროს ყოფილა ურთიერთნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული. რუსეთი ყოველთვის ცდილობდა, დაემორჩილებინა და საკუთარ საზღვრებში მოექცია საქართველო. **„ჩვენს დამოუკიდებლობას რუსეთი განიხილავს როგორც დროებით მოვლენას და ეძებს გზებს და ფორმებს, რათა კვლავაც იმპერიის ნაწილად გვაქციოს მაგრამ ისე, რომ ამან დასავლეთთან ხისტი დაპირისპირება არ გამოიწვიოს. ანალოგიურია დამოკიდებულება აქვს მას სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართაც.“** — აღნიშნავს ვახტანგ ძაბირაძე.

„იმის მტკიცება, რომ რუსეთმა ჩვენს წინააღმდეგ მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი უკვე გამოიყენა, იდიოტობამდე მისული გულუბრყვილობაა თუ მეტი არა. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს ძალიან ფრთხილად. უნდა გაანალიზდეს დესტაბილიზაციის ყველა შესაძლო თუ ჰიპოტეტური ვარიანტი და დამუშავდეს მისი განეიტრალების გზები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება.“ — დასძენს ვახტანგ ძაბირაძე.

ზაზა ფირალიშვილის მტკიცებით, დღევანდელ პროცესებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რუსული პოლიტიკური რიტორიკა და პრაქტიკა. რუსი პოლიტიკოსები და იმპერიის იდეოლოგები დღეს საკუთარი რიტორიკის ტყვეობაში არიან და ესაა ის ჩიხი, რომლისკენაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა მიჰყავთ. იმპერიის „მუხლებიდან წამოდგომის“ პუტინისეული თეზისი მახე აღმოჩნდა რუსული პოლიტიკისათვის და მას დანარჩენ სამყაროსთან დიალოგის უნარი წაართვა. **„დღევანდელი რუსეთი ისევ და ისევ ემსგავსება მთელი დანარჩენი სამყაროს წინააღმდეგ შეთქმულ საბჭოთა კავშირს. განსხვავება ისაა, რომ თუ საბჭოთა კავშირს კომუნიზმის იდეა ჰკრავდა, რუსეთი „მესამე რომის“ იდეაზე ცდილობს ახალი იმპერიის აგებას.“** — აღნიშნავს ზაზა ფირალიშვილი.

მისი აზრით, უკრაინის მოვლენებმა ნათელი გახადა, რომ „ცივი ომი“ რუსეთისათვის, არსებითად, არ დასრულებულა და ეს წლები მისთვის მხოლოდ პაუზა და ახალი ფაზისათვის მზადება იყო“. ექსპერტის აზრით, რუსული იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებას რაიმე უზენაესი ისტორიული მიზანი, გარეშე მტერი და ტერიტორიული ექსპანსიის მუდმივი რეჟიმი სჭირდება. საკმარისია ეს დისკურსი შეიცვალოს, რომ იმპერია რღვევას იწყებს. ასე მოხდა გასული საუკუნის დასაწყისში და 90-იან წლებში.

„ამიტომაც ვფიქრობ, რომ პუტინისტური პოლიტიკის პირობებში რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებით ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება ცრუ იმედია“, — აღნიშნავს ფირალიშვილი. იგი დარწმუნებულია იმაში, რომ **„პუტინს კარგად ესმის — ნებისმიერი ტერიტორიული დათმობა იმპერიის ფსიქოლოგიურ მდგრადობაზე შეიძლება აისახოს. იგი არ დათმობს 2008 წლის „ძლევამოსილი ომის“ შედეგებს და თუ შანსი მივეცით, ყველაფერს გააკეთებს ჩვენი შემდგომი რღვევისათვის.“**

კობა გენდელიანი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● მერი ჩვენ არ გვყავს, პროკურორი და პატრონი, მოკლედ გასაღები თბილისის ტრაფარეტის ქვეშ არი ამოდებული და ქალაქიდან გასვლისას ისევ იქ დადეთ.

● დღეს დილით ვანომ ნასკში გიგი იპოვა.

● სიგარეტი აიკრძალება. 1 გრამ ნიკოტინზე რასტრელია.

● იმ თოვლის ბაბუას რა ვუთხარი, გუდაში ერთი—ორი პრაკურორი რო არ ყავს.

● ნუ მომილოცავთ ახალ წელს, ჯერ უნდა დავადგინო როგორი ცხენის წელი მოდის, კვიცობაში თავლის დაყაჩაღებაზე ხო არ მჯდარა.

● მთელი ერი პახმელიაზეა და მკურნალობა სჭირდება, მთავრობა კი დუმს.

● განსაკუთრებული ბოდიში მინდა მოვუხადო ჩემს ღვიძლს, ნაღველს და თირკმელ-კუჭნაწლავს! ეს დღეები მაპატიეთ ძველით ახალი წლის ჩათვლით!

● ჯერ არ ისვრიან, ჯერ სძინავთ მეზარბაზნეებს. გაიღვიძებენ და დაიწყება ფუჭი ზალპების ბათქაბუთქი. ბედობას გილოცავთ, დზმებოოოო!

● რუსთავს დაგინებული აქვს ქართულ სიმღერაზე? ჯერ რომ არ ვართ ნატოში, იქნებ ვინმემ მიაწვდინოს ხმა. სხვათაშორის ასეთი რამ ბავშვობაშიც კი არ მახსოვს, როცა საბჭოთა საქართველოში ვცხოვრობდით და გადაცემები ორენოვანი იყო, რუსულად ლაპარაკი კი „სვეტსკობად“ ითვლებოდა ახალ წელს არასდროს სხვა ენაზე არ უმღერიათ ტელევიზიებში ქართული სიმღერები ისმოდა სულ. რა ვიცი აბაა, არ არის მთლად ასე ცუდი ქართული სიმღერა.

● ასე მგონია, (ღმერთმა დაგვიფაროს) ამ ქვეყანას არ ყავს მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, მწერალი.... რამდენი თეატრალური და კინოპრემიერა გაიმართა, საინტერესო გამოფენა... კინო და თეატრალური ფესტივალი.... დაჯილდოვება! სად გადამალეთ ეს ხალხი? რითი ვიწონებთ თავს? ისევ მიშმადიდებლები კეკლუცობენ!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის ქალიშვილი, პროფესორი ცვია ვალდენი:

მშვიდობასა და აყვავებას ვუსურვებ საქართველოს

ბელარუსში ხშირად ვარ, თითქმის ყოველ წელს – მინსკში ჩემი უფროსი ვაჟიშვილი ცხოვრობს ოჯახით. ამჯერად ბელარუსში იმდენი საინტერესო მოვლენა და სასიამოვნო შეხვედრა მქონდა, რომ ზოგიერთი მათგანი, ვფიქრობ, საინტერესო იქნება გაზეთის მკითხველებისთვისაც.

ერთხელ ჩემს მეგობარ, მინსკელ იგორ პლოტკინთან ერთად (ის ბელარუსის ოპერისა და ბალეტის დიდი აკადემიური თეატრის ადმინისტრატორია) მანქანით ექსკურსიაზე ვოლოჟინის რაიონში გავემგზავრეთ. მეორე მსოფლიო ომამდე ეს ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია, როგორც მთელი დასავლეთი ბელარუსი, პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა. აქ ბევრი ისტორიული ადგილია, სიძველის ძეგლია, შესანიშნავად რესტავრირებული მართლმადიდებელი ტაძრები და კათოლიკური ეკლესიებია, რომლებშიც, სხვათა შორის, ღვთისმსახურება დღემდე პოლონურ ენაზე წარმოებს. პოლონური სულისკვეთება, როგორც ამბობენ ხოლმე, აქ ჯერ ისევ ძლიერია.

და აი ამ მოგზაურობაში ჩვენ გავიცანით ისრაელის ამჟამინდელი პრეზიდენტის შიმონ პერესის უფროსი ქალიშვილი ცვია ვალდენი, რომელიც ჟურნალისტების, დიპლომატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა დიდი ჯგუფის თანხლებით მიემგზავრებოდა თავისი მამის სამშობლოში – ვოლოჟინის რაიონის სოფელ ვიშნევოში. ბუნებრივია, ჩვენც სიამოვნებით შევუერთდით ამ ჯგუფს, რომელშიც ჩემი მეგობრის იგორ პლოტკინის მეზობელიც აღმოჩნდა.

თურმე, შიმონ პერესი სოფელ ვიშნევოში დაიბადა 1923 წელს. მაშინ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეს ტერიტორია პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. 11 წლის შიმონი მშობლებთან ერთად ემიგრაციით პალესტინაში გაემგზავრა, ხუთი წლის შემდეგ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. შემდეგ კი მოხდა საშინელი რამ: ომის დასაწყიში ფაშისტებმა სოფელ ვიშნევოს ყველა ებრაელი შეყარეს სოფლის ადგილობრივ სინაგოგაში და ცოცხლად ამოწვეს...

სტუმრის შესახვედრად სოფელ ვიშნევოში ბევრი ხალხი შეიყარა. ჩვენ იქ გავიგეთ, რომ შიმონ პერესი ჯერ კიდევ 1998 წელს ჩავიდა სოფელ ვიშნევოში, სადაც საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. საპატიო სტუმარს უჩვენეს სახლი, რომელშიც ის დაიბადა, ჭა, საიდანაც ჯერ კიდევ ბავშვს მიჰქონდა სახლში წყალი. მას შემდეგ ამ ადგილის შესახებ მთელმა ებრაულმა სამყარომ შეიტყო. აბა როგორ! შიმონ პერესი ხომ არა მხოლოდ ისრაელის პრეზიდენტია, იგი მსოფლიო დონის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეა, რომელმაც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევისა და მოწესრიგების საქმეში ძალისხმევისთვის მშვიდობის ნობელის პრემია დაიმსახურა!

და აი, 2013 წელს, როდესაც შიმონ პერესს დაბადების 90 წელი შეუსრულდა, მისმა უფროსმა ქალიშვილმა ცვია ვალდენმა სახლზე, რომელშიც მისი სახელგანთქმული მამა დაიბადა, მიამაგრა სამახსოვრო დაფა. ამიერიდან, დარწმუნებული ვარ, ეს სამახსოვრო დაფა ლაკონური წარწერით: „აქ დაიბადა შიმონ პერესი – იცხატისა და სარა პერსკიხის ვაჟი, ნობელის პრემიის ლაურეატი და ისრაელის მე-9 პრეზიდენტი“, მაგნიტივით მიიზიდავს ამ პატარა სოფელში სტუმრებს, ტურისტებს და არა მხოლოდ ებრაული წარმომავლობისა.

აქვე გავიგეთ, რომ ბელარუსი ისრაელის სამი (!) პრეზიდენტის სამშობლოა. შიმონ პერესის გარდა – ესენი არიან ხაიმ ვეიცმანი პატარა დაბა მოტოლიდან, ბრესტჩინაში რომაა და შაზარ შნეურ ზალმანი (სტოლბცოვიდან). ვიშნევოში ცნობილი თანამემამულის 90 წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა გამოფენა: „შიმონ პერესი: გზა ვილენის ქუჩიდან ვიშნევოში პრეზიდენტის სასახლისკენ იერუსალიმში“. ვიშნევოელთა სასიხარულოდ, ცვია ვალდენმა მღელვარებით შესვა წყალი ჭიდან, საიდანაც თითქმის 80 წლის წინათ წყურვილს იკლავდნენ მისი მამა, უფრო ადრე კი – მისი დიდი ბებია და დიდი ბაბუა, აგრეთვე ბებია სარა და ბაბუა იცხატი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ცვია ვალდენმა მოგვხიბლა ყველა ჩვენგანი. ეს ხალისიანი და სიმპათიური ქალი თავისი მომხიბლაობითა და არაჩვეულებრივი შარმით დიდხანს დაგვამახსოვრდება ყველას, ვისაც ხვდა პატივი ეხილა იგი და მოესმინა მისთვის. ცვია ვალდენი ცნობილია არა მხოლოდ როგორც ისრაელის პრეზიდენტის ქალიშვილი. იგი ისრაელის ბენ-გურიონის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორია, აგრეთვე – ინსტიტუტ „ებრაული მუზის“ გენერალური დირექტორი.

ჩემმა მინსკელმა მეგობარმა იგორ პლოტკინმა თავი ვერ შეიკავა და ჩემი თავი წარუდგინა ცვია ვალდენსა და მის თანმხლებ პირებს. როდესაც გაიგეს, რომ საქართველოდან ვარ, მომაყარეს შეკითხვები. მეც სიამაყით ვუამბობდი დამსწრეებს ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის შესახებ, რაც 26 საუკუნეზე მეტს ითვლის, რომ ამ სახელწოდებით გამოდის გაზეთი, რომლის რედაქტორიც ჩემი სკოლის მეგობარი გაბრიელ ნამთალაშვილია, რომ ჩემს სამშობლოში არასოდეს ყოფილა და არც არის ანტისემიტური განწყობილება. რელიგიური და ეროვნული ტოლერანტობა ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს პოლიტიკური კურსის ქვაკუთხედი, ქართველი ერის მენტალიტეტის გამოხატულება.

ინტერესი გამოიწვია ჩემმა სიტყვებმა იმის შესახებ, რომ დღეს საქართველოში ოცდაერთი სინაგოგა მოქმედებს. მათ შორისაა ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი – ონის სინაგოგა. მე იქ რამდენჯერმე ვყოფილვარ და ადგილობრივი ებრაელებისგან ვიცოდი, რომ სინაგოგა ონში აიგო 1895 წელს. იქ ინახება ორასი წლის წინანდელი უნიკალური ძველებრაული ხელნაწერები, აგრეთვე ტყავზე შესრულებული მოსეს ხუთწიგნეული. აქვე, ონში იყო დაცული ერთ-ერთი ყველაზე ძველი ებრაული ხელნაწერი, რომელიც X საუკუნით თარიღდება – ლაილაშის ბიბლია (რაჭის რაიონული ცენტრის მახლობლად სოფელ ლაილაშის სახელწოდების მიხედვით).

სოფელ ვიშნევოში სტუმრებს შორის იყვნენ პოლონელები, რომლებიც გაახარა ჩემმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ონის სინაგოგა აიგო იმ პროექტის მიხედვით, რომელიც XIX საუკუნეში ჩამოიტანეს ვარშავიდან, სადაც ასეთივე სინაგოგა იყო, თუმცა, უფრო დიდი მოცულობისა. ომის წლებში ეს სინაგოგა პოლონეთის დედაქალაქში ფაშისტებმა დაანგრიეს. მე ისიც აღვნიშნე, რომ ონის სინაგოგის მშენებლობის დაფინანსება იკისრეს ნავთობის მრეწველობის მუშაკებმა ბაქოდან, ძმებმა ნობელებმა. თუმცა, არც ქართველ ებრაელებს დაუშურებიათ ძალისხმევა და სახსრები თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელებისთვის. „როგორ მოხერხდა ამ სინაგოგის შენარჩუნება ბოლშევიკურ საქართველოში?“ – შემეკითხა პოლონელი ჟურნალისტი, რაზეც მე ვუპასუხე: „როდესაც 20-იან წლებში ბოლშევიკებმა ჩაიფიქრეს ამ შესანიშნავი არქიტექტურული შენობის დანგრევა, ადგილობრივი ებრაელები ჩაიკეტნენ სინაგოგაში და რამდენიმე დღე არ გამოსულან იქიდან, დაიფიცეს, რომ დაიხოცებოდნენ და არ მისცემდნენ ამ სიწმინდის დანგრევის საშუალებას“. ასევე აღვნიშნე, რომ 10 წლის წინათ საქართველოში იყო ისრაელის პრემიერი არიელ შარონი, რომლის დედა და მამაც მაშინ თბილისში ცხოვრობდნენ. ისინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდნენ, იქვე გაიცნეს ერთმანეთი, შემდეგ კი შეუღლდნენ. თბილისში ებრაელთა სასაფლაოზე ნავთლუღში არის არიელ შარონის ბებიის საფლავი, რომელიც მან მოინახულა. სხვათა შორის, როდესაც ადგილობრივმა ებრაელებმა მოინდომეს საფლავის განახლება, არიელ შარონმა ისურვა დაეტოვებინათ იგი პირველყოფილ მდგომარეობაში.

ცვია ვალდენს,რომელიც კარგად იყო ინფორმირებული საქართველოს შესახებ, მოეწონა ჩემი პატარა ექსკურსი, ზრდილობიანად გადამიხადა მადლობა, დამშვიდობების დროს კი, თავისი მომხიბლავი ღიმილით თქვა: „მშვიდობასა და აყვავებას ვუსურვებ საქართველოს“.

პროგრესულ კაცობრიობას შესანიშნავად ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოასწრო, გაიგონო და ჩაწერო პლანეტაზე ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ომის – მეორე მსოფლიო ომის – მოვლენათა თვითმხილველებისა და მონაწილეების ცოცხალი მოგონებები. მემორიალ „რომოს“ დამთვალიერებლებს წარუდგინეს წიგნი „ჩვენ გვახსოვს! მსოფლიოს ვუანდერძებთ ახსოვდეს...“, რომელიც მინსკის საქველმოქმედო საზოგადოებრივმა გაერთიანება „გილფმა“ გამოსცა ჩვენი თანამემამულის, მინსკში მცხოვრები, პატივცემული ქალბატონის თამარ ქურდაძის ხელმძღვანელობით. შეკრებილი სტუმრების წინაშე გამოსვლის დროს მან ხაზგასმით აღნიშნა გამოცემული მოგონებათა კრებულის მნიშვნელობა, თქვა, რომ ეს იყო ძალიან ძნელი წიგნი. უნდა გამომეძახებინა ხალხი იმ მოგონებებისთვის, რასაც თავიანთ თავში ღრმად ინახავდნენ და ეშინოდათ მათი გახმიანებისა თავიანთი თავისთვისაც და სხვებისთვისაც. „ამ წიგნში, – ამბობს თამარ ქურდაძე, – სიმართლეა ყველაფერი პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე. ყოველი ნაამბობი ისტორია, ასეთი კი კრებულში 26-ია, ესაა ტრაგედია ბელარუსის არა მხოლოდ ებრაული მოსახლეობისა, არამედ მთელი ჩვენი ხალხისა, მთელი ევროპისა“. „ეს წიგნი, – განაგრძობს ქალბატონი თამარი, – სჭირდება როგორც ბელარუსს, ისე რუსეთს, საქართველოს და ყველა დანარჩენ ქვეყანას...“

და მართლაც, შეუძლებელია თრთოლვის გარეშე წაიკითხო ეს წიგნი. ყოველ გაჟღერებულ ფაქტში არის ვედრება თავის განუკურნებულ ტკივილთან პირისპირ დარჩენილი მარადისობაში გადასახლებული ყველა უსახელოსთვის. ბელარუსის 80 000 ებრაელიდან ცოცხალი მხოლოდ 3,5 ათასი დარჩა. ბელარუსის ტერიტორიაზე ოკუპაციის წლებში ფაშისტებმა დაახლოებით შვიდი ათეული გეტო შექმნეს, დაღუპულთა შორის 1941-1942 წლებში ევროპიდან დეპორტირებული 26500 ებრაელი იყო: ამ ხალხს შანსები პრაქტიკულად არ ჰქონიათ –სასწაულებრივ მხოლოდ 50 კაცი გადარჩა.

„მსოფლიოში არც ერთ ხალხს არ შეუსწავლია დეტალურად იმ სისხლიანი ხოცვა-ჟლეტის ყველა პერიპეტია, რომელიც ჰიტლერელებმა ებრაელ ხალხს მოუწყვეს. ებრაელის გულის ხსოვნა ვერასოდეს მოდუნდება, არ გაქრება. ებრაელის გულს შეუძლია დაიფასოს სიკეთე და ეზიზღებოდეს ბოროტება“. ეს თქვა ჩემმა ახალმა ნაცნობმა, ბელარუსის ჟურნალისტიკის პატრიარქმა, 86 წლის მინსკელმა მიხაილ ნორდშტეინმა, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს, თუმცა, პერიოდულად ჩამოდის თავის სამშობლოში – ბელარუსში. ამ ცოტა ხნის წინათ მან დამირეკა და საუბარში საინტერესო ფაქტი გაიხსენა. თურმე, 2013 წლის ოქტომბერში ბრესტში, საზეიმო ვითარებაში საპატიო ყარაულის თანხლებით, გაიხსნა ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრის, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატის მენაჰემ ბეგინის ბიუსტი მისი დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ჩემი აზრით, ბელარუსის მიწა ისრაელის სამთავრობო ლიდერების სამჭედლოა. ზემოთ უკვე დავასახელე ისრაელის სამი პრეზიდენტი, რომლებიც ბელარუსში დაიბადნენ. მათ სახელებთან ერთად ზემოხსენებული მონაჰემ ბეგინის – იცხაკ შამირის გარდა; უნდა ვახსენოთ მსოფლიოს სახელის მხატვარი მარკ შაგალი და ბევრი სხვაც. სხვათა შორის, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელარუსის რესპუბლიკაში არის იოსებ შაგალი, ვისი ფესვებიც ბელარუსიდანაა. მას ეკუთვნის სიტყვები: „ბელარუსის რესპუბლიკამ ნამდვილი გმირობა ჩაიდინა – ბრესტში, პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში, გაჩნდა ისრაელის სახელმწიფო მოღვაწის ბიუსტი. ჩვენ ამას დიდად ვაფასებთ, და დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი მოვლენა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობათა განვითარებაში“...

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ბრესტის სივრცეში, ისევე, როგორც მთელს ბელარუსის რესპუბლიკაში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტერნაციონალური სოლიდარობისა და მეგობრობის საკითხებს. ამაში მე თვითონ დავრწმუნდი, როდესაც ჩემ შვილ გიორგისთან და შვილიშვილ კოტესთან ერთად ვიყავი ბრესტში, სადაც მაშეროვის პროსპექტზე № 26 სახლზე დააყენეს მემორიალური დაფა ჩვენი თანამემამულის ვარლამ კუბლაშვილის პატივსაცემად. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ის ამ სახლში ცხოვრობდა. ქალაქ ბრესტში ჩვენი ყოფნა დაემთხვა ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ა.გ.ლუკაშენკოს ბრძანებულების გამოქვეყნებას ქ.ბრესტის სასაზღვრო რაზმ „ბუგისთვის“ ვარლამ კუბლაშვილის სახელის მინიჭების შესახებ. თურმე, ჩვენი თანამემამულე ვარლამ კუბლაშვილი ბელარუსში ყველაზე სახელგანთქმული მესაზღვრე ყოფილა. ის იყო პირველი და დღეისთვის ერთადერთი მესაზღვრე, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის ორდენი დაიმსახურა. მთლიანად კი ჩვენს სახელოვან თანამემამულეს ოცზე მეტი ორდენი და მედალი აქვს მიღებული. ასე საზეიმოდ აღინიშნა ლეგენდარული მესაზღვრის დაბადების 90 წლისთავი. ვარლამ კუბლაშვილი ტყიბულის რაიონის სოფელ ახალდაბიდან იყო. 19 წლისა გაიწვიეს სასაზღვრო ჯარებში, ჯერ მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში, 1944 წელს კი გადაიყვანეს დასავლეთის საზღვარზე, ბელარუსის სასაზღვრო ოლქში, სადაც დარჩა კიდეც.

თავისი უნაკლო სამსახურით ვარლამ კუბლაშვილი ჯერ კიდევ სიცოცხლეში გახდა ლეგენდა – ყველაზე საპატიო და ღირსეული მესაზღვრე ბელარუსში. ქ.ბრესტის მადლიერმა მცხოვრებლებმა ვარლამ კუბლაშვილი ჯერ კიდევ 1985 წელს აირჩიეს ქალაქის საპატიო მოქალაქედ. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ვ.მ.კუბლაშვილი 1997 წელს გარდაიცვალა. განსაკუთრებული პატივით დაკრძალეს ქ.ბრესტის გარნიზონის სასაფლაოზე. მისი სახელი ამ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭეს...

აი ასეთი სასიამოვნო პარალელები გაივლო ბელარუსის ქალაქებში ჩემი მოგზაურობისას. და კიდევ. ძალიან დამამახსოვრდა მინსკსა და ბრესტში რუსული პრესის მსოფლიოს XV კონგრესის დღეები, რომელშიც მასობრივი მედიის 250-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა მსოფლიოს 68 ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდანაც. ჩემი მეგობრებისა და კოლეგების წყალობით, მქონდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო კონგრესის რამდენიმე ღონისძიებაში, მესაუბრა უცხოელ კოლეგებთან.

ლევან დოლიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.
თბილისი-მინსკი-ბრესტი

◎ შეჯამება

კულტურა 2013 წელს

ძართული კულტურა შარშანაც პოლიტიკის გავლენას განიცდიდა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არ გამოხატავდა რეალობას. ასეა თუ ისე, 2013 წელი მაინც გამოირჩევა ქართველ ხელოვანთა წარმატებებით.

შარშან თბილისში უკვე ორი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიმართა, თანაც, ერთმანეთის მიყოლებით: თბილისის თეატრალური ფესტივალი, რომლის ძირითადი სპონსორი ქალაქის მერიაა, და ფესტივალი „საჩუქარი“, რომლის დაფინანსებაზე თავის დროზე მერიამ უარი თქვა. შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლის შემოდგომა თეატრალური იყო თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ გამოცხადებული პროგრამა თუნდაც „საჩუქარმა“ ფესტივალის დღეებში ოდნავ შეცვალა, სპექტაკლები როგორც ერთ, ისე მეორე ფესტივალზე ხალხით სავსე დარბაზებში ჩატარდა. ამ სპექტაკლებით კი, ასეა თუ ისე, შეიქმნა შთაბეჭდილება თანამედროვე თეატრალურ პროცესებზე და, რაც მთავარია, ქართული თეატრის დღევანდელ მდგომარეობაზე. მაგალითად, თეატრალურ ფესტივალზე წარმოდგენილ სპექტაკლებს ქართველ თეატრალთა ახალ ნამუშევრებს თუ შევადარებდით, დავრწმუნდებოდით, რომ ჩვენი თეატრის დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა და არაფრით ჩამორჩება, ასე ვთქვათ, „დასავლურ სტანდარტებს“. ამისათვის თუნდაც წლის ერთ-ერთი მთავარი სპექტაკლის – დათა თავაძისა და დავით გაბუნიას „ტროელი ქალების“ გახსენებაც კმარა – სპექტაკლისა, რომელიც ანშლაგებით იდგმებოდა „სამეფო უბნის თეატრში“.

თეატრალური ენის განახლებასთან ერთად, რაც ნამდვილად იგრძნობა „ტროელ ქალებში“, მნიშვნელოვანია ავტორების სითამამე, არასტერეოტიპული აზროვნება, პოლიტიკურ-სოციალურ კლიშეებზე უარის თქმა. ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატორული ხელოვნების დარგი საქართველოში – თეატრი – თავისუფლდება კლიშეებისგან, პათეტიკისგან და გაბედული ხდება, იმდენად გაბედული, რომ თავად კონსერვატორ თეატრალებში იწვევს პროტესტს. ამ მხრივ ნიშანდობლივია წლის ერთ-ერთი მთავარი კულტურული პროექტის, „ვაგინა მონოლოგების“ კითხვა, რომელიც შარშან ქალთა უფლებების დამცველებმა მოაწყვეს რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. ნიშანდობლივია ის, რომ წარმოდგენის მსვლელობის დროს პროტესტი თავად სპექტაკლის სანახავად მოსულმა თეატრალური უნივერსიტეტის მსახიობებმა გამოხატეს – მათზე ივ ენსლერის „ვაგინა მონოლოგებმა“ შოკივით იმოქმედა.

სავარაუდოდ, ასეთმა ადამიანებმა იაქტიურეს 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ მოწყობილ აქციაზე სექსუალური უმცირესობების დამცველთა წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს ქართველი ხელოვანები დაჩაგრულის, სუსტის, მარგინალიზებულის დამცველის როლში არა მხოლოდ აქციებზე მოგვევლინენ, ამ ადამიანების ცხოვრებით ისინი თავიანთ შემოქმედებაშიც დაინტერესდნენ. ამის მაგალითი ბევრია, განსაკუთრებით კინოში – ამის მაგალითია რუსუდან ჭყონიას „გაიღიმეთ“, რომელიც 2013 წელს გამოვიდა ეკრანებზე, ამის მაგალითია ლია ჯაყელის დოკუმენტური ფილმი „დედა, მამა, მე გეი ვარ“, რომლის პრემიერა დეკემბერში თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

უმცირესობის ცხოვრებით დაინტერესება არც თვითმიზანია და არც მოჩვენებითი ჰუმანიზმი. ახალი ადამიანებით და ახალი თემებით დაინტერესება ამდიდრებს კულტურას, ხელოვნების ენას. და 2013 წლის კულტურული აფიშა ამის კარგი მაგალითია. ქართული ხელოვნების თითქმის ყველა სფეროს შეეხო ეს სიახლე და, შესაბამისად, დაეხმარა ქართულ კულტურას გამოსულიყო თავისი საზღვრებიდან - გაგახსენებთ თუნდაც თამთა მელაშვილის გერმანულად თარგმნილი წიგნის – „გათვლის“ – წარმატებას ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, ნანა ევთიმიშვილის და სიმონ გროსის ფილმის „გრძელი ნათელი დღეების“ საერთაშორისო ტრიუმფს, ქართველი მხატვრების წარმატებას ვენეციის ბიენალეზე, რის შესახებაც ხელოვნებათმცოდნე ხათუნა ხაბულიანმა გვითხრა.

დიახ, ქართველი არტისტები ნელ-ნელა ახერხებენ, მიაღწიონ საერთაშორისო წარმატებას, საქართველოში კი... საქართველოში საერთაშორისო კინო და თეატრალური ფესტივალებიც ჩატარდა, კარგი წიგნებიც ითარგმნა, ჯაზფესტივალიც, ოფენ ეარიც მოეწყო დიფარფლის კონცერტით... მაგრამ მასობრივ წარმატებაზე თუ ვილაპარაკებთ, აქ ნამდვილად ლიდერობენ რუსული ესტრადის ვარსკვლავები. 2013 წელს ისინი ერთმანეთის მიყოლებით ატარებდნენ კონცერტებს ხალხით სავსე დარბაზებში.

რა გამოდის? ქართული კულტურა გამარჯვების ნაკლებობას არც 2013 წელს განიცდიდა? მაგრამ გამარჯვება და წარმატება ჯერ კიდევ გამიჯნული ცნებებია ქართულ კულტურულ სივრცეში. შესაბამისად, კულტურის სამინისტროს ჯერ კიდევ უჭირს, გაერკვეს თავის პრიორიტეტებში – ვის და რა სახის კულტურას დაუჭიროს მხარი, რა სახის კულტურას გაუწიოს ფინანსური დახმარება.

გიორგი გვახარია

◎ სხვა გაზეთიდან

დასავლეთმა პუტინი სათანადოდ ვერ შეაფასა

ბედნიერ შობას ვუსურვებ Pussy Riot-ის წევრებს, Greenpeace-ის აქტივისტებს და მიხეილ ხოდორკოვსკის, რომ აღარაფერი ვთქვა ვლადიმერ პუტინზე. თავისი ცოტა არ იყოს, უცნაური პრესკონფერენციის დროს, სადაც მისი ყურადღების მისაპყრობად 1300 დროშა ფრიალებდა, პუტინმა განაცხადა, რომ ხოდორკოვსკის, ისევე როგორც დანარჩენებს, ციხიდან გაათავისუფლებს. შეიძლება, პუტინი ძალიან სასიამოვნო და იოლი ადამიანი არ არის, მაგრამ მან კიდევ ერთხელ აჩვენა მთელ მსოფლიოს თავისი არაორდინარული ეშმაკობა, მიუხედავად იმისა, რომ მას არა მხოლოდ დასცინოდნენ, არამედ ხშირად სათანადოდ ვერ აფასებდნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან, რის შემდეგაც 20 წელიწადზე მეტი გავიდა, დასავლეთმა რუსეთთან ურთიერთობაში ყველა ტიპის შეცდომა დაუშვა. პროცესში, რომელსაც მაშინ ისტორიის დასასრულს ეძახდნენ და ლიბერალური დემოკრატიის და თავისუფალი ბაზრის უნივერსალურ ტრიუმფად მიიჩნევდნენ, ამერიკელმა ენთუზიასტებმა რუსეთს თავს მოახვიეს თავისუფალი ბაზარი, ქვეყანას, რომელიც 70 წლის განმავლობაში ცხოვრობდა რეჟიმის პირობებში, რომელსაც სოციალიზმად ასაღებდნენ. ამ ყველაფრის სამწუხარო შედეგები არავის არ უნდა გაჰკვირვებოდა.

არნაირად არ ვცდილობ პუტინის არასრულყოფილი რეჟიმის დაცვას. ვერც ერთ ჟურნალისტს ვერ ექნება სიმპათია ქვეყნისადმი, სადაც რეპორტიორები, რომლებსაც დამოუკიდებელი გამოძიებები მიჰყავთ და ხელისუფლებას აწუხებენ, რატომღაც იღუპებიან ხოლმე. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საგარეო პოლიტიკა – ეს სხვა რამ არის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ხშირად ძალიან გვიჭირს საზღვრის გავლება რუსული რეჟიმის შიდა ბუნებას და მსოფლიოსთან მის დამოკიდებულებას შორის.

დასავლეთში ადამიანთა რამდენიმე თაობა ჯერ აღფრთოვანებული იყო საბჭოთა მითით, შემდეგ მათ იმედი გაუცრუა საბჭოთა მთავრობის ქმედებებმა – მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ხელმოწერამ 1939 წელს, კომუნისტურმა გადატრიალებამ ჩეხეთში 1948 წელს, ანტისაბჭოთა აჯანყების ჩახშობამ უნგრეთში 1956 წელს.

დიდი ალბათობით, ეს ვერ გამოდგება ნუგეშად პოლონელების, ჩეხებისა და უნგრელებისთვის, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში რუსეთი, როგორც ზესახელმწიფო, ისე მოქმედებდა. სუსტი მეზობლების ჩახშობა – ეს სწორედ ის არის, რასაც ზესახელმწიფოები აკეთებენ: შეეცადეთ გაიხსენოთ, თუ რას აკეთებდა აშშ ლათინურ ამერიკაში. 20 დეკემბერს, პუტინმა თქვა, რომ სტალინი არაფრით უარესი არ არის ოლივერ

ვიდრე რუსეთის პრეზიდენტს გააკრიტიკებს, დასავლეთმა უნდა აღიაროს საკუთარი ღალატის ისტორია იმისი ქვეყნის მიმართ

კრომველზე, რაც შეიძლება ექსცენტრულ განცხადებად ჩაითვალოს, თუმცა, სწორედ სტალინმა მოიხადა ბოდიში ფინეთზე აგრესიული თავდასხმებისათვის, როდესაც განაცხადა: „მე გეოგრაფიაზე პასუხისმგებელი არ ვარ“.

რუსეთის ნებისმიერ მცდელობას, დაეცვა თავისი ნაციონალური ინტერესები, დასავლეთი პროვოკაციად მიიჩნევდა, თუმცა, სინამდვილეში, ბევრი საუკუნის განმავლობაში პროვოკაციები სწორედ დასავლეთისგან მოდიოდა. როდესაც რუსებს პარანოიკებს უწოდებენ, მუდმივად მახსენდება მწერალ დელმორ შვარცის გამონათქვამი, რომ მტრები შეიძლება პარანოიკებსაც ჰყავდეთ. რუსეთის არმიას არ დაუწვავს პარიზი 1812 წელს, რუსები არ შეჭრილან გერმანიაში 1941 წელს.

1990-იან წლებში რუსეთს არ დაუწყია საკუთარი ალიანსების გაფართოება, დასავლეთმა კი მაშინ დაიწყო ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, რაც იყო როგორც ბრიყვული, ასევე უწესო გადაწყვეტილება. ეს იყო ნამდვილი ღალატი: უფროსი ჯორჯ ბუში მიხეილ გორბაჩოვს დაჰპირდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სახელმწიფოები, რომ აღარაფერი ვთქვათ ბალტიის ქვეყნებზე, რომლებიც ის-ის იყო დამოუკიდებლები გახდნენ რუსეთისგან, ნატოში არ გაწევრდებოდნენ, მაგრამ ბილ კლინტონმა ეს პირობა დაარღვია – და ეს იყო შეურაცხყოფა.

„ჩვენ არასდროს გვიფიქრია იმაზე, რომ გველიარებინა ჰაიტის, კუბის ან პანამის რესპუბლიკის „უფლება“ (ყველა მათგანი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოა), გაწევრიანებულიყვნენ ალიანსებში, რომელიც მთელი ჩრდილოამერიკული კურსის საპირისპირო იქნებოდა“. ეს თქვა უოლტერ ლიპმანმა 1944 წელს და მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. რა რეაქცია ექნებოდა ამერიკას, რუსეთს რომ კუბისთვის ვარშავის ხელშეკრულებაში გაწევრება შეეთავაზებინა?

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოლიტიკა პერიოდულად ცინიკური და დაუნდობელია, ხშირად ის გაცილებით ბრძნული და გონივრულია, ვიდრე ჩვენი. 2008 წელს, სწორედ საქართველოს მთავრობამ გააჩაღა ომი რუსეთთან. დღემდე ვიხსენებ დევიდ კამერონის აბსურდულ ვიზიტს თბილისში, როდესაც მან მოითხოვა საქართველოს ნატოში სასწრაფოდ გაწევრიანება, რასაც ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კონფლიქტის პროვოცირება შეეძლო.

და თუკი დევიდ კამერონი მსგავს შეცდომებს უშვებდა ოპოზიციის ლიდერის რანგში, რას მოიმოქმედებდა ის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე? ამ შეკითხვას რომ ვუპასუხოთ, ჯერ სირიას მივუბრუნდეთ. როგორც გორბაჩოვი მოატყუეს ნატოზე, ზუტად ასე მოატყუეს პუტინი ლიბიაზე: მაშინ ის დათანხმდა, მხარი დაეჭირა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციისთვის, შემდეგ კი აღმოაჩინა, რომ „ჰუმანიტარული“ მიზნებით ჩარევა სინამდვილეში ღია ინტერვენცია აღმოჩნდა, რომლის ამოცანაც კადაფის რეჟიმის დამხობა იყო, რასაც ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვა. მას შემდეგ, პუტინი და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი უარს ამბობდნენ ნებისმიერი რეზოლუციის მხარდაჭერაზე, რომლის საშუალებითაც, ჩვენი მთავრობა ბაშარ ალ ასადის რეჟიმის დამხობას იმედოვნებდა, რათა სირია „ალ-ყაიდას“ ხელში გადაეცა.

ამიტომ, მე კიდევ ერთხელ ბედნიერ შობას ვუსურვებ ციხიდან გათავისუფლებულ ყველა პატიმარს. ჩვენ კი, ვფიქრობ, არ გვაწყენდა ახალი რეზოლუციის მიღება, რომლის თანახმადაც, რუსეთს თავს დავანებებთ.

ჯეფრი უიტკროფტი

Guardian

◎ ხმა ერისა

დავით აღმაშენებელს – „ივერიასთან“ ელიან

პატივცემულო რედაქცია, პირველი მოკრძალებული ინფორმაცია ლეგენდარული ქართველი მეფის – დავით აღმაშენებლის დიდებული ძეგლის კუთვნილ ადგილას, სასტუმრო „ივერიის“ წინ გადმოტანის შესახებ, პირველად თქვენი გაზეთის 20 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა. გამოქვეყნდა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის თენგიზ თომაძის ანალოგიური ხასიათის ინფორმაციაც. როგორც მკითხველებმა იციან, სააკაშვილმა მერაბ ბერძენიშვილის შესანიშნავ ქმნილებას ადგილი დიღმის შესასვლელში მიუჩინა და მას „დევნილის სტატუსიც“ მიანიჭა. მაგრამ მარტო ამით როდი დაკმაყოფილდა ძეგლებთან მეომარი „ჩვენი შემოქმედი“ ექსპრეზიდენტი. ანალოგიური საქციელი მან ქუთაისშიც ჩაიდინა. მოხეტიალე პარლამენტის მსგავსად, დავითის ძეგლსაც სხვა ადგილი მიუჩინა. ქართველმა ხალხმა დიდი აღშფოთება გამოხატა ჭკუათხელი პრეზიდენტის ასეთი გადაწყვეტილების გამო, მაგრამ არავინ გამოჩნდა, ვინც „კატას ეჟვანს შეაბამდა“.

მეორე ინფორმაციული ხასიათის წერილი, რომელიც კვლავ დავით მეფის ძეგლის ძველ ადგილზე დაბრუნებას შეეხებოდა, თქვენი გაზეთის ფურცლებზე სექტემბერში გამოქვეყნდა. მოთმინების ფიალა აევსო მკითხველებს, რომლებიც ძალიან ხშირად რეკავდნენ რედაქციაში. დასასრულს, 3 დეკემბერს, გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა წერილი-მოწოდება „დავით მეფის ძველ ადგილზე დაბრუნება სამართლიანობის, ღირსების აღდგენის საწყისი იქნება“. ამავე ნომრის მესამე გვერდზე დასტამბულია საგანგებო მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილისადმი, რასაც ხელს აწერდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები: ჭაბუა ამირეჯიბი, თამაზ გამყრელიძე, როინ მეტრეველი, ოთარ ჯაფარიძე, ირაკლი ჟორდანია, მერაბ მერაბიშვილი, რამაზ ხუროძე, მინდია სალუქვაძე, რეზო ჩხეიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ელდარ შენგელაია, რობერტ სტურუა, პაატა ბურჭულაძე, ვაჟა აზარაშვილი, რეზო ამაშუკელი, გოგი თოფაძე, ქალბატონები მარიამ ლორთქიფანიძე, ლანა ღოღობერიძე, ნუნუ დუღაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ეთერ კაკაბაძე, გულიკო ჩაფიძე, მაცაცო სეფისკვერაძე და სხვ. „საქართველოს რესპუბლიკის“ აღნიშნული ნომერი ოპერატიულად ჩაბარდა ადრესატს. „იმედი ბოლოს კვდებაო“, ნათქვამია ჩვენში. მიგვაჩნია, რომ წერე და იკითხეს პრინციპი ამჯერად გამორიცხული იქნება.

როგორც ცნობილია, 8 თებერვალს ქართველი ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს დავით აღმაშენებლის დღესასწაულს. ურიგო არ იქნებოდა, თუ ჩვენი ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი, სიურპრიზს შესთავაზებს თანამემამულეებს და სასტუმრო „ივერიის“ წინ კვლავ ვიხილავთ ჩვენი დიდი მეფისა და მხედართმთავრის დავით აღმაშენებლის ძეგლს.

გივი გამრეკელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
შალვა ძირია,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი,
ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი,
ელგუჯა ბერიშვილი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

◎ ზემდგომთა წასაკითხად

ბედნიერი კაცი ხარ, ჟილბერტო!

კოხტად ჩაწიკწიკებულ თაროებზე და მინის კარადებში წამლები და სამედიცინო აქსესუარები ალაგია. მზის ჩხორიასავით ციმციმა გოგონები და ქალბატონები აცისკროვნებენ დარბაზს და მშვიდად ემსახურებიან მომხმარებლებს.

აფთიაქში ვარ და ველოდები რიგს. ჩემს წინ კიდევ დარჩა ხუთი თუ ექვსი ადამიანი. მომწონს ყველაფერი ირგვლივ და ლამაზი ფიქრებით ველაციცები მოგონებებს. ოცნებაში გართულს არც შემიმჩნევია, როგორ წასულიყო ჩემ წინ მდგართა მეტი წილი და იმან მომაბრუნა აქაურობას, სალაროსთან მჯდომი გოგონა, როგორ ეკითხება ბოლოს წინარეს:

– თქვენი მამის სახელი, ბატონო?...

ჩემდაუნებურად შევხედე იმ ბატონს. სიჭარმაგეში შესული ვაჟკაცი იდგა, რომელმაც თავისი მამის სახელი შეაგება შეკითხვას. ლამაზად გაფორმებულ პარკში ჩაულაგეს წამლები და მიართვეს.

უღრმესი მადლობა მოახსენა იმ ჭარმაგმა გოგონას და დარბაზი გადაკვეთა.

– გისმენთ, ბატონო!...–ახლა მე მომმართა გოგონამ.

– ხო!... ისა!... აი, ამ ქაღალდზე მიწერია, თუ რა წამლები მინდა!... ამდენს ხომ, ვერ დავიმახსოვრებდი პენსიონერი ბაბუა და ქაღალდზე დამიწერა ჩემმა ქალბატონმა!...–ნახევრად ხუმრობით შევღიმილე გოგონას. გოგონამაც გაიღიმა.

– იცით, ალბათ, პენსიონერებს შეღავათები გეკუთვნით, ბატონო!...

– გაიხარე, შვილო!...

– თქვენი გვარი?...

მოვახსენე!

– სახელი?...

მოვახსენე!

– კარგი იქნება მამის სახელსაც თუ, მეტყვით!...

გავოცდი!

– მამაჩემის სახელი, ლამის არის, დამავიწყა მთავრობამ და თქვენ რატომ დაინტერესდით, შვილო?!...

– თქვენი სახელისა და გვარის თორმეტამდე კლიენტია ჩატვირთული ჩვენს პროგრამაში და... მამის სახელით თუ გაგარჩევთ ერთმანეთისგან, თორემ, პირადად ხომ არ გიცნობთ სათითაოდ ყველას?...

– მადლობა უფალს, კიდევ ვინმეს თუ სჭირდება მამაჩემის სახელი!...

– გვჭირდება, პატივცემულო, გვჭირდება!...

ამასობაში წამლები სათუთად ჩამიწყვეს პარკში და „შეღავათიანი“ ფასი გადამახდევინეს.

ქუჩაში გამოვედი და კვლავ ფიქრებმა „წამიღო“.

ბედმა ისეთი პროფესია დამანათლა, რომ მსოფლიოს ყველა კონტინენტი მოვატარა. მივლინებით თუ საკუთარი ინიციატივით მიმოგზაურია აზიის, აფრიკის, ევროპის, ამერიკის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ავსტრალიის კონტინენტზეც. ეროვნული ტრადიციებით მდიდარ მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და არსად არ მინახავს, არსად არ გამიგონია, მამის სახელს რომ უმალავდნენ ვინმეს! ის კი არა, ბრაზილიაში, როგორც საკუთარი, ასევე, მამისა და დედის გვარ-სახელები აქვთ აღნიშნული პირადობის საბუთში! – ჟილბერტო ფერეირა-კორეირა რამუს!... ასეა!... და ამ ჩემს მეგობარს თავი მოსწონს იმით, რომ თავისი მშობლების სახელს გადასცემს შთამომავლობას!

ჩვენთან კი...

...ეგრეთწოდებული, „ვარდების რევოლუციის“ წლისთავი არც იყო გასული, როცა „მიტინგობანამ“ კიდევ ერთხელ მოიცვა ჩვენი ქვეყანა. ტრიბუნებს იკავებდნენ აღტკინებული „პატრიოტები“ და ათასნაირ „სიბრძნეს“ აფრქვევდნენ.

„ორატორი“ ჩახლეჩილი ხმით გვიმტკიცებდა:

– დიახ, ბატონებო, ჩვენ ახალ ცხოვრებას ვაშენებთ!... ახალი წესი და რიგი უნდა დავამკვიდროთ „დუნიაზე“!... არ არის საჭირო მამის სახელი აღინიშნოს ჩვენს პირადობის საბუთში!... მე დღეიდან ვარ ესა და ეს (იმ ორატორის სახელსა და გვარს სპეციალურად არ ვახსენებ! – ზ.ფ.) და არა „ესა და ეს“, და კიდევ „ის“!... ჩვენ, ჩვენ ვართ ამიერიდან!... თავისუფალი ხალხი!...

ჩემს გვერდით ახალგაზრდა კაცი იდგა და ამ „ლოზუნგის“ გაგონებაზე უხერხული სიტყვები წამოსცდა იმ „ორატორის“ მისამართით:

– წადი შენი!... ამას ვინ მისცა მამის სახელი?... ან რომელი მამის სახელი უნდა აირჩიოს?... დედამისი მისი დაბადებისთანავე გასცილდა ქმარს!... მერე, ეს უგვანო, სხვა „მამამ“ გაზარდა, მერე მესამე „მამამ“ უპატრონა და, ალბათ, უნდა კიდევაც, დაივიწყოს ნამდვილი მამის სახელი!... ან თავისმა ბოზმა დედამ არც უთხრა, ალბათ, ვისი შვილიც არის!...

მეხამუშა ეს ნათქვამი. შემეცოდა ის ორატორი, მაგრამ ახლა, როცა ქუჩას მივუყვები, სხვანაირად ვფიქრობ:

– ბედნიერი კაცი ხარ შენ, ჟილბერტო ფერეირა-კორეირა რამუს, რომ შენი წინაპრების სახელს გადასცემ შენსავე მომავალს! ჩვენ კი... როდის იქნება, ნეტავი, რომ ჩვენი ახალი მთავრობა გააუქმებს იმ „ორატორის“ ნაბჟუტურევს და დაგვიბრუნებს უმეცართა მიერ უარყოფილ მამის სახელს!

...ბედნიერი ხარ შენ, ჟილბერტო, რომ მსგავსი გულისტკივილის შეხსენება არ გიწევს შენი მთავრობისათვის!

ზაურ ფიფია.

◎ ალიან-ჩალიანი

„ევროკონტროლის“ წევრობა ოფიციალურად მოგვანიჭეს

2014 წლის პირველი იანვრიდან საქართველო „ევროკონტროლის“ წევრი სახელმწიფო ოფიციალურად გახდა. როგორც საერთაშორისო საჰაერო სამართლის საკითხების ექსპერტმა დავით გეფერიძემ გვაცნობა, გადაწყვეტილება საქართველოს ევროპის სააეარნაოსნო უსაფრთხოების ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საბჭოს მე-40 სხდომამ გასული წლის 3 დეკემბერს ბრიუსელში გამართულ სხდომაზე მიიღო, რომელსაც Eurocontrol-ის გენერალური დირექტორი ფრენკ ბრენერი ხელმძღვანელობდა. ამ ღონისძიებას საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე და სამინისტროს ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და „საქაერონავიგაციის“ პირველი პირები.

იმავე სხდომაზე აღინიშნა ქართული მხარის წინსვლა ფრენის უსაფრთხოების ამაღლების, საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების ევროპული სანავიგაციო სისტემასთან ინტეგრაციის, აგრეთვე შესაბამის სფეროში დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით.

საქართველომ „ევროკონტროლთან“ მიერთების მემორანდუმს 2012 წლის 5 დეკემბერს მოაწერა ხელი. 2013 წლის 4 აპრილს საქართველოს პარლამენტმა საერთაშორისო კონვენცია და შესაბამისი ოქმები რატიფიკაციაჰყო, რომლის საფუძველზეც საქართველოს პარლამენტმა გამოხატა ნება Eurocontrol-ის საერთშორისო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრების თაობაზე.

შვეიცარია ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანაა, ევროკავშირისა კი - საბერძნეთი

ეუთოს თავმჯდომარეობა უკრაინისგან შვეიცარიამ გადაიბარა. ამის შესახებ ნათქვამია ეუთოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ორგანიზაციას შვეიცარია ქვეყნის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის ხელმძღვანელის დიდიე ბურკჰალტერის თავმჯდომარეობით უხელმძღვანელებს.

შვეიცარიისთვის თავმჯდომარეობის პერიოდში პრიორიტეტული იქნება უსაფრთხოების და სტაბილურობის გაძლიერება, ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ეუთოს პოტენციალის გაძლიერება.

ევროკავშირის თავმჯდომარეობა საბერძნეთმა გადაიბარა. მანამდე თავმჯდომარე ქვეყანა ლიტვა იყო. 1981 წლიდან დღემდე ევროკავშირის თავმჯდომარეობა საბერძნეთს უკვე მეხუთედ უწევს და მომავალი ექვსი თვის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

თავმჯდომარეობის ტრადიციული მოვალეობების გარდა, ქვეყნისთვის დამატებით დატვირთვას შეიძენს ევროპარლამენტის არჩევნები, რომელიც 2014 წლის მაისშია დაგეგმილი. საბერძნეთის მთავრობის განცხადებით, ევროკავშირის უმთავრესი ამოცანა მათი თავმჯდომარეობის პერიოდში ევროპული ეკონომიკის ყოველმხრივი რეფორმირებაა, რომელიც მიმართული იქნება საყოველთაო უმუშევრობის წინააღმდეგ და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ამასთან დაკავშირებით ევროკავშირმა 2012 წლის ივნისში საგანგებო პაქტი მიიღო.

მეორე პრიორიტეტად დასახელდა ევროპაში ეკონომიკური და სავალუტო კავშირის გაღრმავება. მესამე პრიორიტეტი არალეგალური მიგრაციის შემცირებაა.

შვეიცარიასთან საviზო პროცედურები გამარტივდა

საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ინფორმაციით, ხელშეკრულებით, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და შვეიცარიის ფედერალურმა კანცლერმა დიდიე ბურკჰალტერმა 13 სექტემბერს მოაწერეს ხელი, გათვალისწინებულია გრძელვადიანი მრავალჯერადი ვიზების გაცემა. ამავე ხელშეკრულებით, სავიზო მოსაკრებელი განისაზღვრა 35 ევროთი და ვიზის გაცემის ვადა განისაზღვრა მაქსიმუმ 10 დღით.

– ეს ხელშეკრულება ეყრდნობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ემსახურება შენგენის სივრცეში სავიზო პროცედურების სტანდარტიზაციას. ამ ხელშეკრულებით მარტივდება გრძელვადიანი მრავალჯერადი ვიზების გაცემა მთელი რიგი ადამიანებისათვის, როგორებიც არიან ბიზნესმენები, ჟურნალისტები და ასევე საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთა ოჯახის წევრებსაც აქვთ შვეიცარიაში ცხოვრების უფლება. გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში 90 დღემდე ყოფნის უფლებით გაცემული ვიზის მოსაკრებელი განისაზღვრება 35 ევროთი 60 ევროს ნაცვლად. მოსაკრებელი ეროვნული ვიზებისათვის 90 დღეზე მეტი დარჩება უცვლელი და იქნება 60 ევრო. მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელი იქნება დოლარშიც, გაცვლითი კურსის შესაბამისად, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ინტერპრესი

◎ მზადდება სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ადამიანის უფლებები 2013 წელს

ამნისტია, როგორც ჰუმანური აქტი, პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეო და აუდიოჩანაწერების განადგურება, გამოძიებების დაწყება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებზე, სამართლიანად და გამჭვირვალედ შეფასებული საპრეზიდენტო არჩევნები – ეს ხელისუფლების სასახელოდ ჩამოთვლილი საქმეებია, თუმცა, ამის მიღმა რჩება მრავალი მოუგვარებელი საკითხი: ადამიანის უფლებათა დარღვევა, მათ შორის, ციხეებში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით - ამ დრომდე გრძელდება საქმეების გადახედვის მოთხოვნით შიმშილობა; რელიგიურ და სხვა უმცირესობათა მიმართ შეუწყნარებლობის ფაქტებზე ხელისუფლების დაგვიანებული ან არასათანადო რეაგირება და ა.შ. - ასე იხსენებენ ადამიანის უფლებადამცველები 2013 წელს, თუმცა, მათთვის ყველაზე თვალსაჩინო ფაქტი, ადამიანის ფუნდამენტური უფლების დარღვევის თვალსაზრისით, იყო ის, რაც მოხდა 17 მაისს, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს.

როდესაც უფლებადამცველები გასულ ერთ წელს აფასებენ, ამბობენ, რომ შეუდარებლად უკეთესი მდგომარეობაა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ეს გამოიხატება, უწინარესად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მდგომარეობის გაუმჯობესებაში, მიუხედავად იმისა, რომ ციხეებში ათასზე მეტმა პატიმარმა შიმშილობა დაიწყო მათი საქმეების გადახედვისა და ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის მოთხოვნით. ხელისუფლება ამ მოთხოვნის შესრულებას ორი მიზეზით არიდებს თავს: ერთი, რომ სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია არ გამოიწვიოს პროცესმა და, მეორეც, ქვეყნის ბიუჯეტს არ დააწვეს ეს მძიმე ტვირთად.

ამასთან, როგორც სახალხო დამცველი აღნიშნავს, წლის განმავლობაში ადამიანის უფლებების დაცვის ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანი იყო პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების განადგურება. მრავალთვიანი მუშაობის შემდეგ „უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის“ თანდასწრებით, კომისიისა, რომელშიც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც შედიოდნენ, სექტემბერში გაანადგურეს უკანონოდ მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების შემცველი 144 ფაილი, 181 საათის ხანგრძლივობის მასალა, რომელიც კომპაქტდისკებზე იყო ჩაწერილი.

გასულ წელს, ადამიანის უფლებადარღვევებზე საუბრისას, საერთაშორისო ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაცია „ჰიუმან რაიტს უოჩი“ გამოყოფდა სამსახურიდან დათხოვნილი თანამშრომლების საქმეებსაც. ეს ყველაზე მეტად შეეხოთ ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სხვა საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს. ორგანიზაცია ნოემბერში, ვილნიუსში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის წინ, ევროკავშირს მოუწოდებდა ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პარაფირებამდე ყურადღება გაემახვილებინა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაზე და არ ეხელმძღვანელა მხოლოდ გეოპოლიტიკური მიზანშეწონილობით. ამის შესახებ რადიო თავისუფლებასთან „ჰიუმან რაიტს უოჩის“ წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში გიორგი გოგია საუბრობდა: „პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისას მხოლოდ გეოპოლიტიკური ფაქტორები არ უნდა იყოს გადამწყვეტი. თვითონ ევროკავშირს არაერთხელ გაუკეთებია განცხადება, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვაკუთხედი არის საერთო ღირებულებები და ეს ღირებულებები უნდა იყოს უმთავრესი ინტერესი ევროკავშირისთვის და სრულიად დომინირებული არ უნდა იყოს გეოპოლიტიკური ფაქტორები“.

გიორგი გოგიას სიტყვებით, ჯერ კიდევ პრობლემად რჩება პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების საკითხი. ყოფილ მაღალჩინოსანთა საქმეებს ხელისუფლებამ მეტი დამაჯერებლობა უნდა შესძინოს. იგივე არაერთგზის გაიმეორეს ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირებმა, ბოლოს კი ასეთი შინაარსის განცხადება შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმაც გამოაქვეყნა.

უფლებადამცველების ყურადღების ცენტრში წლის განმავლობაში უმცირესობების მიმართ, მათ შორის, რელიგიური უმცირესობების მიმართ შეუწყნარებლობის თემა მოხვდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო სამთაწყაროში მუსულმანებისთვის ლოცვის უფლების ხელყოფა და ჭელაში მინარეთის ჯერ მოხსნის და შემდეგ აღმართვის თემა.

სამთაწყაროში ადგილობრივ მუსულმანებს ლოცვის უფლება რამდენიმე კვირის განმავლობაში არ ეძლეოდათ. იმისათვის, რომ მათი უფლებები დაცულიყო, ადგილზე ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უწევდათ ჩასვლა:

„რელიგიური საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენი იურისტები, ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე პირადად მეც დავდიოდი ხოლმე სამთაწყაროში იქ განვითარებული ამბების გამო და არ უნდა სჭირდებოდეს სახალხო დამცველს, მინისტრს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ყოველ პარასკევს ერთ კონკრეტულ სოფელში სიარული იმისთვის, რომ რამდენიმე მუსულმანმა მშვიდად ილოცოს ერთ კონკრეტულ სახლში“, - განაცხადა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარემ კახა კოჟორიძემ.

რაც შეეხება ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მინარეთის საკითხს, კვირაზე მეტხანს გაგრძელდა, ოფიციალური ვერსიით, სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობით განპირობებული მისი მოხსნისა და შემდეგ კვლავ თავის ადგილზე დაბრუნების ამბავი. მოგვიანებით სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი იტყვის, რომ ხელისუფლების რეაგირება ასეთ შემთხვევებში იყო დაგვიანებული ან არ იყო ადეკვატური, საერთოდ:

„აქ საუბარია იმ რამდენიმე ინციდენტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნიგზიანში, წინწყაროში, სამთაწყაროში და ჭელაში. რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით დღესდღეობით მდგომარეობა შეცვლილია, ანუ ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას არანაირი შეზღუდვა აღარ აქვს საკუთარი რელიგიისა და აღმსარებლობის რეალიზაციის თვალსაზრისით, თუმცა, რეაგირება იყო ძალიან დაგვიანებული რიგ შემთხვევებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან და ეს იყო სწორედ პრობლემა - ხდებოდა რეაგირება, მაგრამ რიგ შემთხვევებში იყო არაადეკვატური რეაგირება ან კვალიფიკაცია იყო საკმაოდ მსუბუქი, რაც, ფაქტობრივად, ახდენდა წახალისებას მსგავსი დანაშაულისა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან“.

ინციდენტით დასრულდა ებრაული დღესასწაულის – ხანუქის აღნიშვნაც თბილისში, თავისუფლების მოედანზე, სადაც ორმა მოქალაქემ პლაკატები ჩამოხია და საგანგებოდ დამონტაჟებული ტრიბუნა დააზიანა. ებრაული დღესასწაულის აღნიშვნა ასევე გააპროტესტა რამდენიმე მართლმადიდებელმა მღვდელმა და მათმა მრევლმა. მოგვიანებით სასამართლომ, ამ ინციდენტის გამო, 100-100- ლარიანი ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლა რამდენიმე პირი.

როცა ადამიანის უფლებადამცველები 2013 წელს იხსენებენ, ადამიანის უფლებადარღვევის მთავარ დღედ 17 მაისს ასახელებენ, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს, როცა მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა და მრევლმა მცირერიცხოვან ჯგუფს ძალადობრივი მეთოდებით არ მისცეს საშუალება გაემართა ფლეშ-მობი. მოგვიანებით ამ დღესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია იტყვის, რომ ეს დღე აღმოჩნდა ერთგვარი ინდიკატორი იმისა, თუ რა სახის პრობლემები არსებობს უმცირესობათა უფლებების თვალსაზრისით ქვეყანაში:

„დაგვანახვა ის მიძინებული პრობლემა, რომელიც ამ კუთხით ჩნდება და ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვიხდა შეგვეხსენებინა ყველასთვის, ვისაც ეს სჭირდებოდა, რომ კანონის წინაშე თანასწორია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომ დისკრიმინაცია დაუშვებელია რაიმე ნიშნით და რომ ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის უფლების დაცვა... გამოძიება დაიწყო მაშინვე და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა პასუხისგებაში მიეცნენ კონკრეტული პირები“.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა, მართალია, ორი თვის დაგვიანებით, მაგრამ 16 ივლისს მაინც მიიღო დასკვნა 17 მაისს თბილისში მომხდართან დაკავშირებით. დასკვნაში დაგმობილი იყო ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციაზე მომხდარი ძალადობა, დადებითად შეფასდა პოლიციის ქმედება და სახელმწიფოს უმაღლესი პირების გამოხმაურებები; ნათქვამი იყო, რომ ეკლესიას ძალადობის წამახალისებელი განცხადებები არ გაუკეთებია. კომიტეტის დასკვნაში ასევე ნათქვამი იყო, 17 მაისთან დაკავშირებულ შვიდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ობიექტურად უნდა წარიმართოსო.

რაც შეეხება გამოძიების ობიექტურად წარმართვას, უნდა ითქვას, რომ ამ დრომდე არ არის დასრულებული სასამართლო პროცესი. უფლებადამცველთა აზრით, 17 მაისს სახელმწიფო უძლური აღმოჩნდა დაეცვა მცირერიცხოვანი ჯგუფის გამოხატვის უფლება.

დაბოლოს, დეკემბერში ცნობილი გახდა, რომ, მთავრობის ინიციატივით, ადამიანის უფლებების შესახებ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მზადდება.

ადამიანის უფლებების დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ძირითადად დაეყრდნობა საქართველოში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის საკონსულტაციო და სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში თომას ჰამარბერგის მიერ მომზადებულ ანგარიშს და სახალხო დამცველის ანგარიშებში გამოვლენილ უფლებადარღვევებს.

ნინო ხარაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ამერიკელი ტყუპები დაიბადნენ... სხვადასხვა წელს

ახალი წლის ღამეს ამერიკაში დაბადებული ტყუპები ქვეყანას სხვადასხვა წელს, ერთწლიანი სხვაობით მოევლინენ. ტეხასში მცხოვრებ 31 წლის ვერონიკა რიდს პატარა ჰანა 2013 წლის 23:39 საათზე, დანიელე კი 2014 წლის დადგომიდან სულ რამდენიმე წამში შეეძინა.

როგორც ვერონიკა რიდი ამბობს, მომავალში ის ტყუპებისთვის დაბადების დღის აღნიშვნას სხვადასხვა დღეს, და შესაბამისად, ცალ-ცალკე აპირებს.

ერთწლიანი სხვაობით დაიბადნენ ტყუპი და-ძმა ვაშინგტონშიც. ლორინ იალენი 2013 წლის 23:58 საათზე გაჩნდა, მისი ძმიკო კი 2014 წლის 1 იანვარს, ღამის 00:01 საათზე მოევლინა ქვეყანას. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ტორონტოშიც, სადაც გაბრიელა სალგუერომ ტყუპი გოგონები ერთი წლის „ტოლფასი“ 8 წუთის ინტერვალით გააჩინა.

ინტერპრესი

დედამიწის ზურგზე



სირიის ხელისუფლებამ ლიბანის „ჰესბოლახს“ რუსული „იახონტები“ გადასცა, ამტკიცებს ამერიკის პრესა

„ჰესბოლახმა“ სირიის მოკავშირეებისგან მრავალი სარაკეტო სისტემა მიიღო, მათ შორის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები, რომლებიც საექსპორტო ვარიანტში ცნობილია, როგორც „იახონტი“, ამტკიცებს „დი უელ სტრიპ ჯორნელი“. გამოცემის ცნობით, მიუხედავად ისრაელის მუდმივი მცდელობისა, შეუტიოს იარაღის საწყობებს და სამხედრო კოლონებს, სირიის შეიარაღების ნაწილი მაინც ლიბანელების ხელში აღმოჩნდა.

* * *

ეძიებმა ისრაელის ექსპრემიერის არიელ შარონის მკურნალობა შეწყვიტეს

ოჯახმა ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრისა, რომელიც უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში კომაში იმყოფება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესების გამო მიიღო გადაწყვეტილება, აღარ გააგრძელოს მისი მკურნალობა. შარონი, სხვათა შორის, კვლავ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების აპარატზეა ჩართული.

* * *

ეროვნული უშიშროების საბაგენტო ამუშავებს კომპიუტერს ზერთული კოდების ასაფეთქებლად, ამტკიცებს სნოუდენი

მის შექმნაზე მუშაობენ საიდუმლო ლაბორატორიების თანამშრომლები უფრო ვრცელი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში, რომელმაც მიიღო სახელწოდება „განსაკუთრებით განმტკიცებული ობიექტებში შეღწევა“. პროგრამისთვის 79,7 მილიონი დოლარია გამოყოფილი.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში ძარბუძის გამო გაუძმებულია და გადადებულია ათასობით ავიარეისი

უამინდობა ყველაზე მეტად შეეხო ჩიკაგოს (ილინოისის შტატი), ნიუარკის (ნიუ-ჯერსის შტატი) და კლივლენდის (ოჰაიოს შტატი) აეროპორტებს. ნიუ-იორკის, მასაჩუსეტსისა და მენის შტატებში გამოცხადებულია საშტორმო გაფრთხილება. ეს ციკლონი, როგორც კენეტიკუტის შტატის გუბერნატორი აცხადებს, იქნება „განსაკუთრებით ცივი ახალი ინგლისისთვის“.

წლეულს ხელისუფლებამ ქვეყნის გამთლიანების რეალური სტრატეგია უნდა წარმოადგინოს

ᲐᲘ, უკვე თვეზე მეტია, რაც უკრაინის დედაქალაქ კიევში ევროპისა და მსოფლიო დიდი გეოპოლიტიკური „ჯახი“ მიმდინარეობს რუსეთის, ევროკავშირის, აშშ-ს და სხვა „გიგანტების“ მონაწილეობით... ეს მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება და იგი გადაწყვეტას მოითხოვს... უკრაინის მოვლენებმა დაგვანახვა (ვისაც, „დანახვის“ სურვილი აქვს), რომ საქართველოს მისწრაფებას ევროპული სტრუქტურებისაკენ დიდი გამოცდა წლეულს ელის (ევროკავშირთან პარაფირების შემდგომი ეტაპი, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა წლეულს სექტემბრამდე). მთავარი პრობლემა გახლავთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ევროინტეგრაციის პარალელურად, თუნდაც ამ მხრივ ევროპელებისაგან სრული და უპირობო მხარდაჭერა გვქონდეს იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს „აღიარებული“ აქვს ჩვენი 2 რეგიონის „დამოუკიდებლობა“ და მისი საოკუპაციო სამხედრო ძალებია განთავსებული მოცემულ მხარეებში... მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც გამთლიანების საშუალებას მისცემს ქვეყანას, მისი დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შენარჩუნების პირობებში. ევროპისკენ სავალ გზაზე საქართველოსთვის მთავარი პრობლემა არის სწორედ ზემოთ ნახსენები ჩვენი 2 რეგიონის ოკუპაციაა! ანუ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20%, სადაც, ქართველების ეთნოწმენდის შედეგად, ამჟამად ცხოვრობენ აფხაზი და ოსი ეროვნების ადამიანები, რომელთაც დანარჩენი საქართველოს მოსახლეობისგან განსხვავებით რუსები „ოკუპანტებად“ კი არა, „განმანთავისუფლებლად“ მიაჩნიათ!..

ასე რომ, უკრაინის და საქართველოს პრობლემების შედარება ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე შეიძლება იმ თვალსაზრისით, რომ ორივე სახელმწიფოს ემუქრება ტერიტორიული რღვევის დაწყება, – უკრაინის შემთხვევაში, ეს მისი აღმოსავლეთი რუსულენოვანი რეგიონებია, პლუს, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა. ხოლო, საქართველოსთვის კი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე საბოლოოდ იმედის დაკარგვა, ჩვენი ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაციის შეუძლებლობა და მათთან ერთად ევროსტრუქტურებში გაწევრება (სხვათა შორის, მოლდოვასაც იგივე ემუქრება, დნესტრისპირეთის სეპარატისტული რესპუბლიკის გარეშე გაწევრება)!.. როგორც ჩანს, უკრაინული „საჭადრაკო დაფა“ და აქ მიმდინარე გეოპოლიტიკური დაპირისპირება დასავლეთსა და რუსეთს შორის, პოსტსაბჭოთა სივრცეში იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი თავისი მოსალოდნელი შედეგებით მას შემდეგ, რაც 22 წლის წინათ საბჭოთა კავშირი დაიშალა!.. საქართველოს ურთულესი ამოცანაა, რომ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში შეინარჩუნოს, უწინარესად, სახელმწიფო სუვერენიტეტი, ქვეყნის გამთლიანების და ევროპული არჩევანის შანსი!..

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ „საჩქარო არაფერი გვაქვს“ და რომ – ქვეყნის გამთლიანების თვალსაზრისით, „დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს“! მაინტერესებს, ასეთმა „პოზიციამ და ხედვამ“ რომ არ გაამართლოს, მაშინ ვინ აგებს პასუხს ხალხისა და კანონის წინაშე?! იქნებ, მხოლოდ ნაძირალა სააკაშვილზე და ნაცმოძზე „ფიქრობენ“ ყველაფრის გადაბრალებას?! დღევანდელი ხელისუფლება ამბობს, „სააკაშვილი და ნაცხროვა „არაპრინციპული და არაკორექტული იყო“ და ამიტომ ვერ შეძლეს რუსეთის „დარწმუნებაო“, ხოლო ჩვენ შევძლებთ „კორექტული და პრინციპული“ პოლიტიკით დავარწმუნოთ რუსეთი იმაში, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრება მისთვის „საშიში“ არ არისო“!? ბატონებო, ასეთ „არგუმენტზე“ რუსები გვიპასუხებენ, რომ – „თქვენზე კარგად ვიცით, ჩვენთვის რა არის „საშიში“, ანუ კარგი და ცუდიო“, – ირონიით, იმასაც მოაყოლებენ, – „თქვენს თავს მიხედეთო..“! **მოკლედ, ახალი ხელისუფლების „ზრდილობიანობის გამო“ რუსეთი ჩვენი 2 რეგიონის „დამოუკიდებლობის აღიარებებს“ უკან არ წაიღებს! ამიტომ, ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს ახალი, ალტერნატიული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც გამთლიანების საშუალებას მისცემს ქვეყანას მისი დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შენარჩუნების პირობებში!** ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგივე, „ნაცმოძური“ რიტორიკა, ოღონდ „ზრდილობიანი“, გაგრძელდება, მაშინ ქვეყნის 20% შეუქცევადად დაიკარგება!.. დიახ, დღევანდელ ხელისუფლებას შეუძლია და სწორიც იქნება, თუ წინანდელ („ნაცმოძრაობა“) ხელისუფლებაზე მოახდენს აპელირებას იმ არასწორი პოლიტიკის გამო, რომელმაც ასეთი მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა მათ და სრულიად საქართველოს! მაგრამ, ეს არ კმარა! ამავდროულად, აუცილებელია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ დაანახვოს ქვეყნის მოსახლეობას და უცხოეთის სახელმწიფოებს, თუ რით განსხვავდება მისი პოზიცია ძველი ხელისუფლების მიდგომებისაგან და როგორ, რა სტრატეგიის შეთავაზებით აპირებს იგი ამ ურთულესი პრობლემების მოგვარებას!..

პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის და პრეზიდენტ მარგველაშვილის ტანდემმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში ვერ განხორციელდება, თუ საქართველოს თავზე „დამოკლეს მახვილივით“ ეკიდება რუსეთის ხელახალი შემოჭრის საფრთხე და გაგრძელდება დღევანდელი ოკუპაცია! მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი წლების მანძილზე მხარს უჭერდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს, არ აღიარებდა ჩვენი სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას და ცნობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სამშვიდობო ფორმატის ფარგლებში მიღებულ ყველა ოფიციალურ დასკვნაში თუ რეზოლუციაში! მხოლოდ, სააკაშვილის და მისი პარტიის ავანტიურისტული მმართველობის პერიოდში, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთმა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობა აღიარა“! რაც შეეხება, დეოკუპაციას... აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების (გდრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი) დეოკუპაცია, – მოლაპარაკებების და ურთიერთგაგების ატმოსფეროში განხორციელდა! ავღანეთშიც კი, – დიალოგის რეჟიმი უძღოდა წინ ავღანეთის დეოკუპაციას! ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს მდგომარეობა გაცილებით მძიმეა და აი რატომ. აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის ბალტიის ქვეყნებში, რუსეთს ეთნიკურ უმცირესობებში სეპარატისტული მოძრაობების სახით დასაყრდენი არ ჰქონდა! 90-იან წლებში, რუსებმა მოახერხეს, რომ დასავლეთს ეთნოკონფლიქტის კვალიფიკაცია მიეცა რუსეთის მიერ ინსპირირებულ მოვლენებისათვის საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონში, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში! აქედან გამომდინარე, რუსეთის ოკუპაცია საქართველოს 20% ტერიტორიაზე ეფუძნება აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს, ანუ ეს არ არის მარტო რუსულ-ქართული პრობლემა, თორემ, რუსებს ოკუპირებული რომ ჰქონდეთ, უბრალოდ სადავო (მაგ. სასაზღვრო) ტერიტორიები, მხოლოდ ქართველებით დასახლებული (ან სულაც დაუსახლებელი), მაშინ, რა თქმა უნდა, საკითხის მოგვარება გაცილებით იოლი იქნებოდა!.. რუსეთი ამოფარებულია აფხაზური და ოსური ეთნოსების სეპარატისტულ მისწრაფებებს, რომ მათ არ სურთ ქართველებთან ერთიან სახელმწიფოში ცხოვრება, თანაც, რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები გამოიყენა (სააკაშვილის სიბეცის, ვოლუნტარიზმის გამო!) იმისთვის, რომ ამ ხალხების და რეგიონების „დამოუკიდებლობა ეღიარებინა“! აი, ასეთი „გორდიას კვანძია“ გასახსნელი... მხოლოდ სახალხო დიპლომატიით და საქართველოს ეკონომიკური და დემოკრატიული „მიზიდულობის“ გაზრდის იმედად, ეს პრობლემა ვერ გადაწყდება, თანაც, დრო „არ ითმენს“ და ჩვენ სულ უფრო ვშორდებით სოხუმსა და ცხინვალს, იქაურ ახალი თაობის საზოგადოებებს, გაუცხოება ჩვენს შორის დღითი დღე ღრმავდება!.. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ აფხაზები და ოსები რუსეთს არ მიიჩნევენ ოკუპანტად, პირიქით, მადლიერები არიან რუსეთის გარანტიით და მონაწილეობით თანხმდებიან საქართველოსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას! მოსკოვი თავისი გადაწყვეტილების უკან წაღებას - აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის აღიარების“ შესახებ, საკუთარი თავმოყვარეობის შელახვად და აფხაზების და ოსების „ღალატად“ მიიჩნევს, მეტიც, ცდილობენ, რომ ამ რეგიონების „დამოუკიდებლობის აღიარებას“ კვლავაც ხელი შეუწყონ. ამის საპირისპიროდ, საქართველო დასავლეთის მხარდაჭერით წარმატებით ახორციელებს ოკუპირებული ტერიტორიების „არაღიარების“ პოლიტიკას! რუსები ხვდებიან, რომ აჩქარდნენ, როცა ცნეს საქართველოს რეგიონების „დამოუკიდებლობა“, რადგანაც იციან, რომ საქართველოს ახალი თუ მომავალი ხელისუფლებები არასოდეს ცნობენ ამ პროვინციების „დამოუკიდებლობას“... **დასავლეთს, რუსეთსა და საქართველოს შორის კომპრომისების და შეთანხმების გარეშე, საქართველოს დეოკუპაციის და გაერთიანების საკითხი არ და ვერ გადაწყდება! თავს ნუ მოვიტყუებთ და გავაცნობიეროთ, რომ საქართველოს დეოკუპაცია და გამთლიანება საერთაშორისო გარანტიების (გარანტორების: გაერო, ევროკავშირი, ეუთო) გარეშე შეუძლებელია!** ოსებიც და აფხაზებიც რომ დაინახავენ „ძლიერთა ამა ქვეყნის“ საერთო ნებას საქართველოს საკითხის საბოლოო მოგვარებისათვის, მათთან ჩვენი შიდა დიალოგიც შედეგიანი იქნება!.. მოკლედ, ხანგრძლივი სტაგნაციაა მოსალოდნელი ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში... მაგრამ, ვფიქრობ, რომ მაღალი პოლიტიკური ნებელობის გამოჩენის შემთხვევაში, შეიძლება მოიძებნოს ისეთი ფორმულა, რომელიც შედეგზე გათვლილი გადაწყვეტილების მიღებისას ღირსებას შეუნარჩუნებს, როგორც საქართველოს და რუსეთს, – ისე, აფხაზებსა და ოსებს!.. ჯერ, „წითელ ხაზებზე“ ვერ ისაუბრებენ, მაგრამ, აუცილებლად მოუწევთ, რაც ადრე დაიწყებენ, მით უკეთესი!.. **ვითარება ჩიხურია როგორც საქართველოსთვის, ისე რუსეთისთვისაც, რა თქმა უნდა, პუტინი თავის გადაფურთხებულს არ და ვერ ალოკავს (საქართველოს რეგიონების „უკან წაღება), ყველაზე მეტი, რაც მას შეუძლია ამ ეტაპზე გააკეთოს, არის ის, რომ „ხელი არ შეუშალოს“ აფხაზების, ოსების და ქართველების შერიგების პროცესის დაწყებას!..** მაგრამ, რუსეთი, ყველა შემთხვევაში მოითხოვს საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან გარანტიებს და კომპრომისს იმისა, რომ... **და აი აქ, ჩვენ, ქართველებმა უნდა ვიცოდეთ, თუ რა კომპრომისზე შეიძლება წავიდეს საქართველო, უფრო სწორად, როგორი ალტერნატიული სტრატეგია უნდა შევთავაზოთ რუსეთს, ევროპა-ამერიკის მონაწილეობით, რათა არავის „ღირსება“ არ შეილახოს!..**

დასავლეთში, ჩვენი მთავარი პრობლემა ბევრისთვის მოსაბეზრებლად და რუსეთთან ურთიერთობებისათვის ხელისშემშლელად გაიწელა... **ქართველები არაღიარების სტრატეგიის წყალობით ვინარჩუნებთ ქვეყნის გამთლიანების მკრთალ პერსპექტივას, მაგრამ როდემდე?.. დაუსრულებლად ეს ვერ გაგრძელდება... საქართველოსთვის საშიშროების შემცველი იქნება ის მდგომარეობა, თუ „განაწყენებული“ ამერიკელების და „სალდაფონი“ რუსების ინტერესთა დამთხვევა მოხდება!..** რიჩარდ ნორლანდისა და გრიგორი კარასინის გამონათქვამები მაქვს მხედველობაში! მოკლედ, გასარკვევია, საქართველოსგან თუ რა კომპრომისის შემთხვევაშია შესაძლებელი, რუსების მიერ ჩვენი მხარეების „დამოუკიდებლობის აღიარების“ გაუქმება და საქართველოს გამთლიანებაზე დათანხმება?! სააკაშვილმა ქართველებს „ისე ღრმად შეგვატოპინა“, რომ ამერიკელების „დათანხმება“ იმაზე, რომ საქართველო თავისი ტერიტორიების დასაბრუნებლად კომპრომისზე, ანუ „გარკვეულ მსხვერპლზე მიდის“, ძალიან რთული იქნება!.. არადა, „წკიპზეა“ ჩვენი საქმე...

ხომ გახსოვთ, ამერიკის ელჩმა ნორლანდმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუმრობისას განაცხადა, რომ **„ქართველები აფხაზებს და ოსებს ეპყრობოდნენ დაახლოებით ისე, როგორც რუსები – ქართველებს, და ამისთვის ქართველებს ბოდიშის მოხდა მოუწევთ!“,** ხოლო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოოდგილემ გრიგორი კარასინმა რუსულ გამოცემებთან განაცხადა: **„ყველას ავიწყდება, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილი აღარ არის!“**

„რაღაცით“ გაგულისებულმა რუსეთმა მავთულხლართებით დასერა ქართლის შუაგული (დიცი, დვანი და ა.შ.), მოკლედ, მოიწევს... ქართველების რეაქცია ასეთია, – ჩასვლა ამ სოფლებში (2-3 საათით!) და თეატრალიზებული წივილ-კივილის მოწყობა, რუსების და პუტინის მრავალსართულიანი გინება, მსოფლიოსთვის იმის ჩვენება, თუ როგორ გვამცირებენ რუსები და თუ, როგორ „არ ვეგუებით“ ამას ჩვენ, ქართველი „პატრიოტები“!.. საქართველოს ახალი ხელისუფლების მესიჯი კი ასეთია, – არ ავყვეთ პროვოკაციას, ეს ჩვენი „ტესტია“ გამძლეობაზე და ა.შ... „ძველი“ ხელისუფლების (ნაცების) რეაქცია კი შემდეგია, – აი, ხომ გეუბნებოდით, რომ რუსეთთან „არაფერი გამოვა“ და ჩვენს მიერ წარმართული პოლიტიკა სწორი და ერთადერთი იყო, 2008 წლის აგვისტოშიც და საერთოდ!..

ნუთუ, ამას დიდი ცოდნა და ანალიზი სჭირდება, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ ამ პოლიტიკას გააგრძელებს, ანუ – ყოფილი ავტონომიური ოლქის (ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“) ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, მთელს პერიმეტრზე (შიდა ქართლში, იმერეთში, რაჭაში, მცხეთა-მთიანეთში), სადაც ვაკე და მოშიშვლებული ადგილებია, შეგნებულად, პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით, ყველგან გააბამს მავთულხლართებს და დაიფიქსირებს „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვარს“, ჩვენთვის საოკუპაციო ხაზს (ზოლს)!.. იგივეს მოიმოქმედებს მდინარე ენგურის გასწვრივ, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მთელს პერიმეტრზე... და ამას რუსეთი გააგრძელებს მანამ, სანამ საქართველოს ხელისუფლება საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას არ გაითვალისწინებს იმას, რომ მისი ქვეყნის 20%-ზე მეტს იგი ვერ აკონტროლებს და თუ უნდა ამ სურათის კარდინალურად შეცვლა, მაშინ მას მოუწევს რუსეთის სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინება სამხრეთ კავკასიის რეგიონში!.. ეს არის და ეს. ეს მოსალოდნელი იყო, იმიტომ, რომ **სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, ახალი ხელისუფლების მიერ არ შეცვლილა, უბრალოდ „ზრდილობიანი“ გახდა... ვეღარ გავიგეთ, რომ რუსეთი იმას „არ ჭამს“, რომ კულტურულ-ჰუმანიტარულ და სავაჭრო-სატრანსპორტო „ლაქუცით“ დათმოს თავისი გეოსტრატეგიული პოზიციები, განსაკუთრებით კავკასიაში!.. „ნახევარფაბრიკატებით“ პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან ვერ და არ აიგება, ეს უნდა ვიცოდეთ, ასეთი მასშტაბის და მოცემულობის ქვეყანაა...** მოკლედ, ჩვენ რომ „რუსეთისმცოდნე“ მინისტრების და პარლამენტარების ჯგუფი გვყავს, რომლებსაც დიდი პრეტენზია აქვთ ამისა და თავი მოაქვთ „ურთულესი სქემების ავტორობით“, რომლებსაც თურმე „ყეყეჩი“ რუსები 100 წელი ვერ გაშიფრავენ, აი, მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ - მათნაირ „ანალიტიკოსებს“ რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტურაშიაც კი მოხვედრის შანსი არა აქვთ, არათუ იმისა, რომ კრემლის „ათას თეორიებზე გადამხტარი თავები გააცურონ“, ვლადისლავ სურკოვის მეთაურობით!.. ეტყობა, ეს ერთი წელიწადი მართლა დიდი პრესი იყო ბიძინა ივანიშვილზე, სხვადასხვა მხრიდან... მაგრამ, **თუ გვინდა ქვეყნის გამთლიანების საკითხის დაძვრა, ამისთვის უნდა დაიდოს შესაბამისი სტრატეგია, რომელიც უნდა განიხილებოდეს იმ „დიდ კაბინეტებში“, სადაც მსოფლიო პოლიტიკის მთავრი საკითხები წყდება, ესენია – ვაშინგტონი, მოსკოვი და ჩვენს შემთხვევაში „შუამავლებად“, პარიზი და ბერლინი!..** აბა, მსოფლიო და ევროპულ საერთაშორისო ორგანიზაციებში, სტრასბურგში, ვენაში და მეტიც ბრიუსელშიც კი, მხოლოდ ზევით დასახელებულ დედაქალაქებში გადაწყვეტილი საკითხების „ვიზირება“ ხდება!!.. ამას, უბრალო ენაზე – დიდი პოლიტიკა ჰქვია, ჩვენ კი, დღესაც ამ მიმართულებით „ნაცური“ ხელისუფლების ფიარპოლიტიკის ტყვეობაში ვართ, თან, მუხლები უკანკალებთ „მეოცნებეებს“, რომ „ნაცებმა“ პარლამენტში ან მედიაში შენიშვნა არ მისცენ?!.. ასე, „კაი ხანს ვერ გავფრინდებით“ და სასწრაფოდ ზომებია მისაღები, რათა მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალოს!..

ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲙᲘᲠᲕᲐᲚᲘᲫᲔ
პოლიტოლოგი

P. S. საქართველოსთვის ყველაზე მტკივნეული და ურთულესი საკითხი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ამიტომ, პოლიტიკიდან სამოქალაქო საზოგადოებაში გადასული ბიძინა ივანიშვილი, სწორედ ამ პრობლემის მოგვარებით უნდა დაკავდეს, რაც პრემიერ-მინისტრობისას ვერ მოასწრო! დიახ, ბიძინა ივანიშვილმა მთელი თავისი რესურსები საქართველოს გამთლიანებას უნდა მოახმაროს, მხოლოდ მაშინ იქნება მთლიანად ვალმოხდილი ქვეყნისა და ერის წინაშე! ეს ულტიმატუმი არ გახლავთ, ეს აუცილებლობაა, რომელიც საქართველოს სჭირდება! საქართველოს დღევანდელი ახალგაზრდა პოლიტიკური ხელმძღვანელები, პრემიერი და პრეზიდენტი, ამას მისი დახმარების გარეშე ვერ შეძლებენ! ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით საიაკაშვილისგან გავთავისუფლდით, მაგრამ საქართველოა გასამთლიანებელი და მან, აქაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს!

Ჯ. Კ.

◎ ჭიდაობა

ლუკა კურტანიძე ხალიჩას უბრუნდება!



თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა, სპორტის ამ სახეობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ განაცხადა, რომ 41 წლის ვეტერანი ფალავანი აქტი-eh cg hnc e, heyl t, f8მისი მიზანია, 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში კონკურენციის გაზრდა. პირველი ტურნირი, რომელშიც კურტანიძე იასპარეზებს, 2014 წლის სეზონის დასაწყისში ირანში დაგეგმილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი – „ტახტის თასი“ იქნება. პირად მწვრთნელად ოლიმპიური ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი ეყოლება. ჭიდაობის ფედერაციამ თავისუფალსა და „კლასიკურში“ ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებებს სამწვრთნელო შტაბებიც დაასახელა. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს თავკაცად ბეგი დარჩია დაუბრუნდება. მასთან ერთად იმუშავებენ: ოთარ ტატიშვილი, ბადრი ხასაია, ჯემალ ბაკურიძე, აკაკი ჩაჩუა და ვლადიმერ ადეიშვილი. თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს რევაზ მინდორაშვილთან ერთად გურამ მჭედლიძე, დავით პოღოსიანი, ალექსანდრე კახნიაშვილი და არჩილ ქიტიაშვილი გაწვრთნიან. ასაკობრივ გუნდებში იმუშავებენ:

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ახალგაზრდული ნაკრები: ზაზა სილაგაძე, ზაზა დიდიბერიძე, სოსო ბერიშვილი, მუხრან მაჭუტაძე, ოთარ ფევაძე, გოგიტა ჯინჭველაშვილი.

ჭაბუკთა ნაკრები: დავით ბედინაძე, ხვიჩა ბიჩინაშვილი, ვაჟა კრავეიშვილი, მამუკა სულთანიშვილი, ზაზა ჯიბლაძე, ხვიჩა ქორიძე.

თავისუფალი ჭიდაობა. ახალგაზრდული ნაკრები: გიორგი გოგშელიძე, ემზარ ბედინეიშვილი, დავით ოთიაშვილი, გელა საღირაშვილი, კობა კაკალაძე.

ჭაბუკთა ნაკრები: გიორგი იანტბელიძე, ლაშა ქეთიშვილი, კახა დობორჯგინიძე, ოთარ თუშიშვილი, თენგიზ კიკაბიძე.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

რეიტინგები კი ასეთია

ფიდემ, ტრადიციულად, საახალწლოდ მოჭადრაკე ქალვაჟთა მსოფლიო რეიტინგები გამოაქვეყნა. მანდილოსანთა პირველ ათეულში ადგილები შეინარჩუნეს **ნანა ძაგნიძემ და ბელა ხოტენაშვილმა.** საუკეთესო ათეული ასეთია: იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2693), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2629), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2613), ჩჟაო სიუე (ჩინეთი, 2567), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2566), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2546), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2543), ბელა ხოტენაშვილი (საქართველო, 2527), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2527), პია კრამლინგი (შვედეთი, 2525). ასეულში ძაგნიძესა და ხოტენაშვილთან ერთად არიან: 33. **ნინო ხურციძე** (2456), 34. **სალომე მელია** (2453), 47. **ლელა ჯავახიშვილი** (2430), 51. **ნინო ბაციაშვილი** (2428), 69. **სოფიკო გურამიშვილი** (2398), 84. **თამარ წერეთელი** (2375), 85. **მერი არაბიძე** (2374), 86. **სოფიკო ხუხაშვილი** (2374), 90. **მაია ლომინეიშვილი** (2366).

ვაჟთა ათეული: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2872), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2812), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2789), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2787), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2785), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2782), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2777), ბორის გელფანდი (ისრაელი, 2777), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2773) სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2759). პირველ ასეულში ერთადერთი ქართველი დიდოსტატია **ბაადურ ჯობავა,** რომელიც 2710 პუნქტით 37-ე ადგილზეა.

ლაშა დიდია

◎ ხელბურთი

თურქებს ვერ გაუმკლავდნენ



ნაახალწლევს ანკარაში საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში თურქეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა. მასპინძლები თავიდანვე დაწინაურდნენ და ტაიმი 6 ბურთის სხვაობით მოიგეს. თურქებს არც შესვენების შემდეგ დაუთმიათ უპირატესობა და საბოლოოდ 29:23 გაიმარჯვეს. იმავე დღეს ფინელები შინ ლიტველებს დაუზავდნენ – 20:20. ეს გუნდები განმეორებით 5 იანვარს შეხვდებიან ერთმანეთს – თბილისის სპორტის სასახლეში ქართველები თურქებს უმასპინძლებენ, ლიტველები კი ფინელებს მიიღებენ.

ჯგუფში სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ლიტვა – 5, ფინეთი – 3, თურქეთი- 2, საქართველო – 2 ქულა. პლეი ოფში მხოლოდ ერთი გუნდი გადის.

გივი გაგუა

◎ ბედისწერა

იუბილარი – ლაზარეთში

გუშინ მიხეილ შუმახერს 45 წელი შეუსრულდა.

მოგეხსენებათ, ფორმულა-1-ის შვიდგზის ჩემპიონი ერთი კვირაა, რაც სარეცელსაა მიჯაჭვული და კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი სიკვდილს ებრძვის.

ალბათ, ბედისწერაა, რომ ავტოსპორტის ჯადოქარი სათხილამურო ტრასაზე განვითარებული სისწრაფის შედეგად მოხვდა გრენობლის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში და უკვე ორი ურთულესი ოპერაცია გადაიტანა თავის ქალაზე, საიდანაც ჰემატომები ამოკვეთეს.

სწრაფად გამოჯანმრთელება ვუსურვოთ „შუმის“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!

20 წლის შემდეგ

განგებამ ინება, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო იზორიების ოჯახი სანკტ-პეტერბურგში გადაიხვეწა.

სწორედ ნევისპირა ქალაქში ეზიარა ბრძენთა თამაშის ანაბანას ზვიადი, რომელმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პირველი ინტერვიუ ჩვენს გაზეთს მისცა. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, იყო ტიტულებიც და გულისტკივილიც, მაგრამ ერთი რამ უდავოა – ზვიად იზორია საჭადრაკო სამყაროში დაფასებული და ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდა.

მართალია, მოგვიანებით მას კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე ამერიკაში მოუწია ემიგრანტად გადასახლება, მაგრამ ამით ნიჭს და ტალანტს არაფერი მოკლებია – პირიქით, ჩვენი თანამემამულე იქაც მშობელი ქვეყნის საამაყო დესპანად რჩება.

ამ დღეებში ზვიადს 30 წელი უსრულდება. ვულოცავთ!

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

წლის გამორჩეული მამაკაცი სპორტსმენები



ბრიტანეთში გამომავალი არაერთი ბულვარული ჟურნალისგან, ძალიან რთულია რომელიმე გამოცემა გამოარჩიო, რადგან ყველა ასეთი ტიპის გამოცემა ცდილობს, რომ არ ჩამორჩეს მსოფლიოში არსებულ ტენდენციებს და თუკი რაიმე „ყვითელი“ თემაა, პირველებმა მათ გააგებინონ საზოგადოებას ამის შესახებ.

თუმცა, ბრიტანულ გამოცემათა ზღვაში, ჟურნალი “გლამური“ მაინც გამორჩეულია, რომელიც ყოველი წლის ბოლოს მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და ქალებისათვის სასურველი მამაკაცების რეიტინგებს აქვეყნებს. წელს ამ რეიტინგში ცნობილ მომღერალ და მსახიობ მამაკაცთა შემდეგ, ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი საპატიო მეშვიდე ადგილს იკავებს.

ბექჰემის გარდა, “გლამურის“ რეიტინგში ასევე მოხვდნენ მოცურავე რაიან ლოჰტე, ჩოგნის მქნევნი: ენდი მირეი და რაფაელ ნადალი და სხვა. თუმცა, მაინც გაკვირვებას იწვევს ვეტერანი დევიდ ბექჰემის ასეთი დიდი პოპულარობა, რომლიც მსოფლიოში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და სასურველ მამაკაცად რჩება.

ხსოვნა

გოგოთურ აგლაძე

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გოგოთურ დავითის ძე აგლაძე**.

დაიბადა 1930 წლის 15 სექტემბერს ქ. თბილისში. 1953 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; იყო საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი მუშაკი (1957-1959 წ.წ.), უფროსი მეცნიერი მუშაკი (1959-1963 წ.წ.), სათიბ-საძოვრების განყოფილების გამგე (1963-1968 წ.წ.), ზოოტექნიკური სექტორის ხელმძღვანელი (1968-1975 წ.წ.), საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი (1975-1990 წ.წ.), საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1988 წლიდან), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1991-2004 წ.წ.).

აკად. გ. აგლაძე ითვლებოდა საკვებწარმოების, ბუნებრივი სათიბების და საძოვრების გაუმჯობესების და გამოყენების ერთ-ერთ ცნობილ და წამყვან სპეციალისტად, აგრეთვე საქართველოს ბუნებრივი საკვები ფართობების გაუმჯობესების სისტემის ერთ-ერთ ავტორად და შემსრულებლად, აქტიურად მონაწილეობდა ექსპერიმენტული ქარხნის ჩამოყალიბების ორგანიზაციაში და საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ქიმიურ-თერაპიულ-ბიოლოგიური საკვები პრეპარატების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დანერგვის საქმეში.

აკად. გ. აგლაძეს გამოქვეყნებული აქვს 320-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 20 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მიღებული აქვს 13 საავტორო მოწმობა და პატენტი გამოგონებაზე. დაჯილდოებულია მრავალი ორდენით და მედლით, მათ შორის „ღირსების ორდენით“. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 2013 წლის 20 დეკემბერს აკად. გ. აგლაძეს მიენიჭა აგარარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის საპატიო წოდება.

წავიდა ამ ქვეყნიდან აგრარიკოს მეცნიერთა კიდევ ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მოწაფეების, კოლეგების და მეგობრების გულში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

სანთელი

ელგუჯა სილაგაძის მონატრება

მამა... სიტყვა, რომლის თქმაც სანატრელი გამიხდა, რომლის დაძახებაზეც პასუხს არავინ გამცემს.

ტკივილი, რომელიც მოუშუშებელია და იმედი, რომელიც გაქრა. 40 დღე გავიდა უშენოდ. დრო მკურნალიაო – უთქვამთ... ეს სიცრუეა, მამა... დრო მხოლოდ მონატრება და უშენოდ მწარე და ტკივილიანი ცხოვრების სწავლაა ჩვენთვის.

ძნელია შენზე საუბარი, მამა, შენთან საუბარი იყო ჩვენთვის სიხარული და ბედნიერება. შენ ჩემი არამარტო მამა, არამედ დიდი მეგობარიც იყავი. სიკეთის, სამართლიანობის, ადამიანობის და ცხოვრების მასწავლებელი. კაცი, რომელსაც სიცოცხლე სწყუროდა და ყოველ დღეს იმედის თვალით შეჰყურებდა. შენ ხომ შენს დარდს და ნაღველს არავის უმხელდი. 27 ნოემბერს კი ვეღარ გაუძლო შენმა გულმა ამდენ უსამართლობას და ძგერა შეწყვიტა.

მამა, ძალიან გვტკივა უშენობა. დაცარიელდა სახლი უშენოდ... გაუფერულდა დღე. დედიკოს თვალზე ცრემლი არ აშრება. შენც ხომ წარმოუდგენლად მიგაჩნია ჩვენი ტკბილი ოჯახი უშენოდ. გაუსაძლისი გახდა შენი ძვირფასი დედმამიშვილებისთვის შენი მონატრება.

დიდ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი ტკივილი. მამა, მადლობა იმ დიდი სახელისათვის და ადამიანობისათვის, რაც დაგვიტოვე. ამ უღლის წევა არ იქნება ადვილი, მაგრამ გპირდებით, შენი კარგი კაცობის სახელს დავიწყებას არ მივცემთ.

შენს საფლავთან მოვალთ ყვავილებით, დაგინთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენი სულისთვის. უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი საყვარელი სალომე, ნინო, დარეჯან, გულიკო და ავთანდილ სილაგაძეები

◎ ჩვენი კარაბადინი

თავი თავის ადგილზე არაა

როგორ მოვიქცეთ, თუ საფეთქლები ან კეფა გვტკივა

ადამიანთა უმრავლესობა ადრე თუ გვიან მაინც ხვდება, რა არის ტკივილი: გახურებული საქმიანობის, ამინდის ცვალებადობის დროს ანდა ორგანიზმისთვის გარდამავალ პერიოდში. თუ მიზეზი გვეცოდინება, შეიძლება თავის ტკივილის გაკონტროლება.

მიზეზი: კუნთების ზედმეტად დაძაბვა

ადამიანის თავი თითქოს პირამიდის მწვერვალზეა, რომლის ღერძიც ხერხემალია. კისრის, ზურგის,ხელებისა და ფეხების კუნთების შეთანხმებული მუშაობის წყალობით, ეს პირამიდა მოძრაობს, მაგრამ ამ დროს ინარჩუნებს სტაბილურობას. სხეულის რომელიმე ნაკვეთში კუნთების მცირე, მაგრამ მუდმივ გადატვირთვას მივყავართ იმასთან, რომ ჩნდება ჰიპერტონუსის მონაკვეთები–ამ ადგილებში კუნთები ხდება მაგარი ხელის შეხებით. თუ გადატვირთულია კისრის კუნთები, რომლებიც პირდაპირ კონტაქტში არიან იმ სისხლძარღვებთან, რომლებიც ტვინს სისხლს აწვდიან, ჩნდება თავის ტკივილი.

რა უნდა გავაკეთოთ

● ხელის შეხებით მოძებნეთ ზურგისა და კისრის განსაკუთრებით დაძაბული, მკვრივი კუნთები და დაიზილეთ ხელით. ძნელად მისაწვდომ ადგილებამდე შეიძლება მივიდეთ სახელურიანი მასაჟორებით.

● კისრისა და ზურგის კუნთების სპაზმების მოხსნაში დაგვეხმარება ასეთი ვარჯიში. ერთი ხელი წაივლეთ თავში, მეორე წაიღეთ ქვემოდან მისკენ და გადაჭდეთ ერთმანეთს ზურგს უკან. შემდეგ შეცვალეთ ხელები და გაიმეორეთ ვარჯიში.

● შემდგომ ერიდეთ ხანგრძლივ სტატიკურ პოზებს. მუშაობის დროს უფრო ხშირად ცვალეთ სხეულის მდგომარეობა, პერიოდულად მოიწყვეთ მოთელვა.

მიზეზი: სისხლძარღვთა ტონუსის ცვლილება

თავის ტვინის სისხლძარღვებს ბევრი აქვთ მტკივნეული რეცეპტორი. ამიტომ სისხლძარღვთა ტონუსში ნებისმიერმა ცვლილებამ, შეიძლება თავის ტკივილთან მიგვიყვანოს. მისი მიზეზი, შეიძლება გახდეს გაციება ან, პირიქით, ორგანიზმის გადახურება, ამინდის ცვლილებები, ჰაერში ჟანგბადის უკმარისობა. ტონუსის ცვლილებასთან, შეიძლება მიგვიყვანოს ანთებითმა პროცესებმაც სისხლძარღვთა კედლებში, მათ შორის ათეროსკლეროზმაც.

რა უნდა გავაკეთოთ

● თუ თავის ტკივილი ძალიან დიდ სიცხეში დაიწყო, გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე. ეცადეთ ისეირნოთ სკვერსა და პარკში თუნდაც 30-40 წუთი დღეში.

● თითებით გაიკეთეთ თავის თმიანი ნაწილის მასაჟი, მოისვით ხელი შუბლზე, როდესაც მოდუნდებით, შეიძლება მსუბუქი მუსიკის თანხლებით წამოწვეთ ნახევრად ბნელ ოთახში.

● თუ თანმდევი საწინააღმდეგო მაჩვენებლები არაა, სისხლძარღვთა ტონუსის გასაუმჯობესებლად თავის ტკივილის დროს შეიძლება მივიღოთ ოსკარბინის მჟავა (საკმაოდ დიდი დოზით, არანაკლებ – 1 გრამისა).

მიზეზი: ჰორმონალური ფონის ცვლილებანი

ბევრ ქალს აწუხებს შაკიკი თვიურის ან მანამდე ერთი კვირით ადრე. ეს ჰორმონალურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული.

რა უნდა გავაკეთოთ

ჰორმონების რხევები, რომლებიც ჩნდება ციკლის გარკვეულ ფაზებში, – ნორმალური მოვლენაა, მას ბევრს ვერაფერს გაუკეთებ, ამიტომ მოგვიწევს ვიკმაროთ სიმპტომატური საშუალებები. თავის ტკივილის მოხსნას კარგად უწყობს ხელს წერტილოვანი მასაჟი. მონახეთ შუბლის შუაში აქტიური წერტილი: მასზე დაწოლის დროს ჩნდება უფრო ძლიერი ტკივილი, ვიდრე მეზობელ ადგილებში. მეორე მნიშვნელოვანი წერტილი არის ცერისა და საჩვენებელი თითის გადაკვეთაში. გაიკეთეთ წერტილების მასაჟი ნელა, საათის ისრის მიმართულებით, დააწექით საკმაოდ მაგრად, რომ შეიგრძნოთ ტკივილი.

მიზეზი: ფსიქოლოგიური დისჰარმონია

ფიზიკური უქეიფობის მიზეზი შეიძლება გახდეს ურწმუნოება საკუთარ თავში, დაბალი თვითშეგნება, არასრულფასოვანი შეგრძნება საკუთარი თავისადმი და გარშემომყოფთადმი გაზრიდილი მოთხოვნები, რომლებსაც ღიად არ წარმოაჩენენ. დაგროვილი შინაგანი ემოციები ვლინდება თავის ტკივილით.

ასეთი პრობლემლები ახასიათებს ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანებს, რომლებსაც მტკივნეულად გადააქვთ თითოეული თავიანთი შეცდომა.

რა უნდა გავაკეთოთ

● ნუ ეცდებით, ყველას გული მოიგოთ და ნუ გეშინიათ თქვათ „არა“. ჩვენ ხომ არ განვიცდით დანაშაულის გრძნობას იმის გამო, რისი გაკეთებაც შეგვიძლია?

● ეცადეთ, დაამყაროთ უფრო თბილი ურთიერთობანი ახლობლებთან, ისწავლეთ შეუნდოთ მათ შეცდომები და იქონიეთ მათთან კარგი ურთიერთობანი.

● პერიოდულად მიეცით თავს ნება, გამოხატოთ თქვენი ემოციები ღიად. თუ ტირილი გინდათ – იტირეთ. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ დროული ტირილი – სტრესის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა. გინდათ, იცინოთ – იცინეთ. გახსოვდეთ, რომ არც ერთი ღრმად მიმალული ემოცია არსად არ მიდის. იგი გვიბრუნდება ტკივილითა და დეპრესიით.

მეუღლე ჭიჭიკო ადეიშვილი, მაზლი ვასილ ადეიშვილი ოჯახით, მაზლისცოლები, მულისშვილები, მაზლიშვილები, ძმისწულები ოჯახებით, მამიდაშვილები ოჯახებით, ბიძაშვილები ოჯახებით, უახლოესი ნათესავები, მეგობრები გულწრფელი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანა სილოვანის ასული ჩლაიძე-ადეიშვილი

პანაშვიდი 4, I, 16 სთ. დაკრძალვა 5 I, 14 სთ. მისამართი: მუხიანის დასახლება, IVა მკრ/ნი, 16 კორპ. ბ. 2.

მაზლი ვასილ ადეიშვილი, რძალი ლალი ვეფხვაძე, მაზლიშვილები ნინო, პაატა ადეიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანა სილოვანის ასული ჩლაიძე-ადეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს ჭიჭიკო ადეიშვილს.

მარინა ადეიშვილი, გიორგი ხაზარაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ ჭიჭიკო ადეიშვილს საყვარელი მეუღლის

ნანა ჩლაიძის

გარდაცვალების გამო.

შპს „ფოპტნეტის“ და შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ იაგო შიოლაშვილს მამის

ლავრენტი შიოლაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელეკომუნიკაციების კომპანიების „ახალი ქსელების“ და „ანტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ იაგო შიოლაშვილს გარდაეცვალა მამა

ლავრენტი შიოლაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

საინტერესო ამბების სამყაროში

იტალიელმა ბავშვებმა 8-მეტრიანი საშობაო ნაძვის ხე მოიპარეს

ნეაპოლში უმბერტო პირველის გალერეაში საშობაო ნაძვის ხე მისი დადგმიდან რამდენიმე საათის შემდეგ მოიპარეს.

ვიდეოთვალთვალის კამერების ჩანაწერებმა აჩვენეს, რომ ქურდები ბავშვები იყვნენ (ქურდების ზუსტი ასაკი დაუდგენელია). აღსანიშნავია, რომ გამტაცებელთა ჯგუფმა შეძლო გაეტაცა რვამეტრიანი ნაძვის ხე მისი დემონტაჟისთვის სპეციალური მოწყობილობის გამოუყენებლად.

მოგვიანებით საშობაო ნაძვის ხე ნახეს. პოლიციამ იგი რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით ესპანური კვარტალის შესახვევში აღმოაჩინა. ბავშვები ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ პოლიციისთვის, წაეღო „მათი ნაძვის ხე“, თუმცა, სამართალდამცავებმა შეძლეს წაეღოთ იგი. იტყობინებიან, რომ ეს არ არის ნეაპოლში საქალაქო საშობაო ნაძვის ხის მოპარვის პირველი შემთხვევა.

დღესასწაულების წინა დღეებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჩნდება ცნობები მათი მთავარი სიმბოლოების საიდუმლო გაქრობის შესახებ. 2013 წლის ოქტომბერში, ჰელოუნის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფერმიდან მოიპარეს დაახლოებით 600 გოგრა. დანაკარგის ღირებულებამ 4,2 ათასი დოლარი შეადგინა.

აჩრდილები ხალხს გამოეცხადნენ

ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან აფერისტები ფულს ისე იმუშავებენ საიქიო სამყაროს საიდუმლოებებზე, როგორც კარგად გასაგიდ საქონელზე. თუმცა, თაღლითებს ყოველთვის უპირისპირდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ, აეხსნათ აუხსნელი. ბევრი პატივცემული მეცნიერი, მწერალი და უბრალოდ ცოდნის მოყვარე მკვლევარები სწავლობდნენ პარანორმალურ მოვლენებს. მათ შორის ისეთი ცნობილები, როგორებიც არიან პიერ და მარია კიურები, მწერალი არტურ კონან დოილი, ქიმიის პროფესორი ალექსანდრ ბუტლეროვი. ნობელის პრემიის ლაურეატმა ფიზიოლოგმა შარლ რიშემ მოჩვენებათა თვალყურის დევნების პრინციპიც კი ჩამოაყალიბა: „აჩრდილების მატერიალიზაციის ერთადერთი დადასტურება შეიძლება იყოს ამ ფენომენის რამდენიმე პირის მიერ ერთდროული აღქმა. თუ ორი ნორმალური, გონიერი ადამიანი ზუსტად აღწერს ერთსა და იმავე ხილვას, ერთდროულად წამოიყვირებენ, აცნობენ ერთმანეთს თავიანთ შთაბეჭდილებებს, თანაც ფანტომის თანდასწრებით, აბსურდული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს კოლექტიური ჰალუცინაცია იყო“.

ბარაკ ობამამ საზეიმოდ შეიწყალა სადღესასწაულო ინდაურები

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ტრადიციულ ცერემონიაზე, რომელიც მადლიერების დღესთან იყო დაკავშირებული, ორი ინდაური შეიწყალა.

„პრეზიდენტის პოსტი – ყველაზე გავლენიანია მსოფლიოში, იგი უამრავი მოვალეობის შესრულებას გულისხმობს. მაგრამ ეს არაა ერთ-ერთი მათგანი“, – განაცხადა ობამამ, როდესაც ინდაურების შეწყალების ცერემონიას ხსნიდა.

2013 წელს „პრეზიდენტის შეწყალება“ მოიპოვეს „ეროვნულმა ინდაურმა“ სახელად პოპკორნი და მისმა „დუბლიორმა“ – კარამელმა. წოდება „ეროვნული ინდაური“ პოპკორნს მიენიჭა იმ ღია კენჭისყრის შედეგების მიხედვით, რომელიც სოციალურ ქსელებში მიმდინარეობდა.

პოპკორნმა, განაცხადა ობამამ, თავისი ტიტული მოიპოვა დაძაბულ ბრძოლაში, „დაადასტურა, რომ ინდაურსაც კი გასართობი სახელწოდებით შეუძლია მონახოს თავისი ადგილი პოლიტიკაში“. კარამელი, პრეზიდენტის სიტყვებით, „აგროვებს სახსრებს მომდევნო საარჩევნო კამპანიისთვის“.

შეწყალებული ინდაურები, რომელთა წონაც, თითოეულისა, 17 კილოგრამს აღემატება, გამოზარდეს მინესოტის შტატის ფერმაში. ფრინველები, რომლებმაც თავი დაიძვრინეს ვახშმისგან მადლიერების დღესთან დაკავშირებით, თეთრი სახლიდან გაემგზავრებიან ჯორჯ ვაშინგტონის მამულში მაუნტ-ვერნონში.

ტრადიცია, გაგზავნონ ინდაურები თეთრ სახლში შეწყალების დღისთვის, XIX საუკუნიდან არსებობს. მიაჩნიათ, რომ ინდაურების შეწყალების ცერემონიების მოწყობა თეთრ სახლში 1940-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყეს, როდესაც პრეზიდენტის პოსტი ჰარი ტრუმენს ეკავა. თუმცა, ამ ღონისძიებამ, ფაქტობრივად, ეს ოფიციალური სტატუსი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უფროსის დროს შეიძინა.

დღესასწაულის ისტორიას ამერიკაში ინგლისიდან პირველ წარმომადგენელთა გადმოსვლას უკავშირებენ, რომლებიც აქ 1620 წელს ჩამოვიდნენ ხომალდ „მეინფლაუერით“. ლეგენდის მიხედვით, წარმოგზავნილებმა, რომლებმაც გაჭირვებით გადაიტანეს პირველი ზამთარი ახალ ადგილზე, 1621 წლის შემოდგომაზე მოაწყვეს დღესასწაული, რომლის დროსაც მადლობას უხდიდნენ ღმერთს უხვი მოსავლისთვის. კერძებს შორის, რომელიც მიჰქონდათ მადლიერების პირველ დღეს, იყო შემწვარი ინადური, რომელიც ევროპიდან ჩამოსულებმა პირველად ამერიკაში დააგემოვნეს. წინადადება – ექციათ მადლიერების დღე ეროვნულ დღესასწაულად – წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა.

უნდა ვენდოთ ასტროლოგებს?

ოდესღაც ძველად ასტროლოგია სახალხო მომასწავლებელი ნიშნებისგან წარმოიშვა. იგი ავლენდა (და იყენებდა პროგნოზებისთვის) დედამიწის მზის გარშემო წლიური ბრუნვის კავშირს გვალვებისა და წვიმების პერიოდებთან, საკვების სიუხვესთან და შიმშილობასთან – ერთი სიტყვით, ამინდთან.



თავისი თანამედროვე აზრი ასტროლოგიამ შეიძინა მაშინ, როდესაც დაიწყო ადამიანთა ხასიათებისა და ბედის პროგნოზი. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი მათემატიკოსი და ასტრონომი ევდოქსი ჩვენს ერამდე დაახლოებით 370 წელს წერდა, რომ „არ არის საჭირო ვენდოთ, თუნდაც ოდნავ, ქალდეებსა და მათს იმ წინასწარმეტყველებს ადამიანის სიცოცხლის შესახებ, რომლებიც ემყარება მისი დაბადების დღეს“. მეცნიერების თვალსაზრისით, ასტროლოგია ხომ –ესაა საპნის ბუშტი, რომელსაც არ გააჩნია რაციონალური შინაარსი. თავის დროზე იგი სტიმულს აძლევდა ასტრონომიულ თვალყურის დევნებას და კანონზომიერების ძიებას პლანეტების მოძრაობაში. მაგრამ თანამედროვე ასტროლოგიას, წინა ეპოქებისგან განსხვავებით, არაფერი აქვს საერთო ასტრონომიურ გამოკვლევებთან.

რას ამბობს მეცნიერება ჩვენზე კოსმოსური სხეულების გავლენის შესახებ? რასაკვირველია, დედამიწა ვაკუუმში არაა –მასზე ეცემიან მეტეორიტები და კოსმოსური ნაწილაკები, მას ანათებენ მზე, პლანეტები და ვარსკვლავები. მათს გავლენას ბიოსფეროზე სწავლობენ. მაგრამ, თუ გვერდზე დავტოვებთ აშკარა ცხოვრებისეულ კავშირებს მზის შუქთან, ყველა დანარჩენი გავლენა ატარებს სუსტად გამოხატულ, განუჭვრეტელ ან დაუდასტურებელ ხასიათს. ფიზიკურ ურთიერთმოქმედებათა ყველა სახეობიდან რამდენადმე სერიოზულად შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ გრავიტაციაზე. მაგალითად, მზისა და მთვარის მიზიდულობა დედამიწაზე ზღვის მოქცევებს იწვევს. მაგრამ თქვენს გვერდით მყოფი ნებისმიერი ადამიანი, მაგალითად, მეზობელი გვერდითი მერხიდან ახდენს თქვენზე გრავიტაციულ ზემოქმედებას დაახლოებით მილიონჯერ უფრო ძლიერად, ვიდრე მთვარე!

ბევრი მეცნიერი – ფსიქოლოგები, ფიზიკოსები, ეკონომისტები – არაერთხელ ამოწმებდა ჰოროსკოპების გამართლებას. გამოირკვა, რომ ისინი სრულიად სიცრუეები არიან: არ არის არანაირი კავშირი ადამიანის ხასიათსა და საქმიანობას შორის და მის ზოდიაქოს შორის, აგრეთვე პლანეტების განლაგებას შორის დაბადების დროს, – მიიჩნევს ასტრონომი, შტენბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი ვლადიმირ სურდინი.

რეკლამა
299-62-77;
599 32-85-76.
„საქართველოს რესპუბლიკაში“

ცინცხალი ანეკდოტები

– მითხარით, მართლაც შრომამ შექმნა ადამიანი?

– ჰო, მაგრამ შენს წინაპრებს, როგორც ჩანს, არცთუ ძალიან უყვარდათ შრომა.

* * *

– როგორც იქნა, გადავწყვიტე, რომ შერონ სტოუნისთვის მომეწერა წერილი, – ეუბნება ტიპი ძმაკაცს.

– მერე, გიპასუხა?

– ჰო, მიპასუხა, აი, ვკითხულობ: „პატივცემულო უცნობო! ჩემგან შეუძლებელს ითხოვთ... არ შემიძლია თქვენთვის 20 ათასი დოლარის სესხება“.

* * *

– როგორ მიდის საქმეები?

– ისე რა... ბიძაჩემის ტანჯვას, როგორც იქნა, ბოლო მოეღო...

– რას ამბობ? საწყალი ბიძაშენი... როდის მოკვდა?

– ის კი არა, ბიცოლაჩემი მოკვდა!

* * *

დაღლილი ქირურგი გვიან დაბრუნდა სახლში. შესახვედრად კუდის ქიცინით გამოქანდა მისი საყვარელი ნაგაზი.

– ტყუილად მელაქუცები, – ეუბნება ქირურგი, – ხორცი არ მომიტანია, დღეს ოპერაციები არ გვქონდა!

* * *

თირკმელების ქრონიკული დაავადებით შეწუხებული მოხუცი ებრაელი საავადმყოფოში დააწვინეს. ექთანმა მას სამლიტრიანი ქილა მისცა – ამაში ერთი დღე-ღამის შარდი დააგროვეო. 24 საათის გასვლის შემდეგ ექთანმა ებრაელს მიაკითხა ქილის წასაღებად:

– დააგროვეთ შარდი? – ეკითხება ექთანი.

– კი დავაგროვე, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე დამიმთავრდა.

– როგორ თუ დაგიმთავრდათ? – გაოგნებულია ექთანი.

– როგორ და, როგორც იცით, სერიოზული ავადმყოფობა მაქვს, წვევამდელები კი ისე მეხვეწებოდნენ, რომ იძულებული გავხდი, მათთვის მიმეყიდა...

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24